# ახალგაზრდა კომუნისტი

შაბათი, 10 თებერვალი, 1990 წ.
№ 17 (11503)

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

«АХАЛГАЗРДА КОМУНИСТИ» — ОРГАН ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1921 წლის 13 აგვისტოს.

ფასი 3 კაპ.

ჩვენი მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქუჩა № 14 (მისასვლელი [illegible] ქუჩიდან) ტელეფონები: ინფორმაციისათვის — 93-97-31, წერილების განყოფილება — 93-38-62, სამდივნო — 93-31-56



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით

მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები პერიოდი დადგა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში —მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნების მთავარ მიზნად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სახელმწიფოებრივ მმართველობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული სახალხო ხელისუფლებიანობისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა, მტკიცე ეროვნულ ნიადაგზე მდგომი, კომპეტენტური, პრინციპული, უმწიკვლო პარლამენტარების არჩევა მიაჩნია.

ნება-სურვილის თავისუფლად გამოხატვის ვითარებაში უნდა ავირჩიოთ ჭეშმარიტად სახალხო, შემადგენლობით თვისებრივად ახალი, მუდმივმოქმედი პარლამენტი, რომლის წინაშე უაღრესად აქტუალური ამოცანები დადგება — დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნული პრობლემების გადაწყვეტით უნდა მივაღწიოთ რესპუბლიკის რეალურ სუვერენიტეტს. ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად საჭიროა ხელისუფლების ორგანოების ფორმირების თვისებრივად ახალი პრინციპებისა და მიდგომის გამომუშავება.

ცენტრალურ კომიტეტს ღრმად სწამს, რომ ეროვნული განვითარების კონცეფცია, რომლის პროექტი საჯარო განხილვის შემდეგ მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, სრულად გამოხატავს რესპუბლიკის კომუნისტების პოზიციას, მისწრაფებას, ცხოვრებისეულ ინტერესებს და ამდენად იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ.

კონცეფციამ, ფაქტობრივად, უკვე მიიღო ხალხის, მთელი საზოგადოებრიობის ნდობის მანდატი. იგი საქართველოსა და მისი კომპარტიის დამოუკიდებლობის განმტკიცების მიმართულებით გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯად შეფასდა. რესპუბლიკის მშრომელთა უმრავლესობა იზიარებს საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის განხორციელების, მართვის სტრუქტურების დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნის, რესპუბლიკის მატერიალური და ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციის, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის წარმოდგენილ პროგრამას.

ამ პოლიტიკურ დოკუმენტში გარკვევით და ნათლად არის გამოხატული კონკრეტული ეროვნული მიზნები, რომელთა მიღწევასაც პარტიული ორგანიზაციები თავიანთ უპირველეს მოვალეობად და ვალდებულებად მიიჩნევენ: ეროვნულ--სახელმწიფოებრივი მოწყობის სრულყოფა, ეკონომიკისა და ეკონომიკური კავშირების, სოციალური სფეროსა და სოციალური ურთიერთობის, დემოგრაფიული და ეკოლოგიური ვითარების, სახალხო განათლების სისტემის, მეცნიერებისა და კულტურის, ერთაშორისი ურთიერთობის, შიდაპარტიული მუშაობის გარდაქმნა.

ამავე დროს, მხედველობაში იღებს რა რესპუბლიკაში შექმნილ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას, სერიოზულ დაძაბულობას ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში და საკუთარ პასუხისმგებლობას შექმნილ ვითარებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თვლის, რომ მასების სწრაფი პოლიტიზაციისა და მათი სოციალური აქტიურობის ზრდის პირობებში, სახალხო დეპუტატთა არჩევნების წინა პერიოდში საჭიროა პირდაპირი, მართალი და გულახდილი პასუხი გაეცეს ყველაზე მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც დღეს აღელვებს ქართველ ხალხს, რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, ჩვენი საზოგადოების პროგრესულ ძალებს. პირველ რიგში ეს შეეხება რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების გარდაქმნას, საკუთრივ პარტიის სტატუსს, მის როლსა და ადგილს განახლებულ, დემოკრატიულ საზოგადოებაში.

რესპუბლიკის კომპარტიის საქმიანობა დღეს ჰუმანური იდეალებისადმი მისი პროგრამის ადეკვატურობის საფუძველზე უნდა წარიმართოს. იგი უნდა გამოხატავდეს ეროვნულ და საზოგადოებრივ ინტერესებს, ითვალისწინებდეს პარტიული ორგანოების მუშაობის პრინციპების, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სტრუქტურებში წარმომადგენლობის ფორმების, საინიციატივო საზოგადოებრივ მოძრაობებთან ურთიერთმოქმედების ძირეული გადასინჯვის აუცილებლობას, სრულად ჰქონდეს შეგნებული ხალხის, დღევანდელი და მომავალი თაობების წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია:

დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრება და კონსტიტუციიდან მეექვსე მუხლის ამოღება;

საქართველოს კომპარტია უნდა იყოს დამოუკიდებელი, ჰქონდეს საკუთარი სტატუსი, რათა მაქსიმალურად გაითვალისწინოს საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი;


(დასასრული მე-2 გვ.)




# უნივერსიტეტის ავტონომია

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა დამოუკიდებელი სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება. ამას მოწმობს დეკლარაცია, რომელიც წაიკითხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომიის აღდგენისადმი მიძღვნილ სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ საზეიმო სხდომაზე.

ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში ქართული ინტელიგენციის ამ სამჭედლომ განიცადა ყველა ის გადახრა და მეტამორფოზა, რომლებიც ახასიათებდა მთლიანად საზოგადოებას. თავსმოხვეული იდეოლოგიზაცია და ვალდებულება, თეორიისა და პრაქტიკის გათიშვა, მოუფიქრებელი დაგეგმვა, ანგარიშვალდებულება უცნაურად შერწყმული უპასუხისმგებლობასთან — ყოველივე ამისაგან ახლა თავისუფალია „ალმა მატერი". ასეთი ნაბიჯი მით უფრო მნიშვნელოვანია ახლა, როცა საქართველო მიზნად ისახავს გახდეს დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო.

„დღეს, ვკითხულობთ დეკლარაციაში დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღესა და დაარსების 72 წლისთავზე, უნივერსიტეტი ცხადდება ავტონომიურ სასწავლებლად და როგორც ეროვნული ზნეობისა და თვითშეგნების კერა იგი უნდა ემსახურებოდეს არა მარტო მეცნიერებისა და სპეციალისტების მომზადებას, არამედ ჰუმანური, თავისუფლად მოაზროვნე პიროვნებების აღზრდასაც. ამით მას ენიჭება შემდეგი უფლებები: შეცვალოს სტრუქტურა, აირჩიოს და დაამტკიცოს ხელმძღვანელი პირები, შემოიღოს ახალი სპეციალობები და გააუქმოს ძველი, მიანიჭოს სამეცნიერო-პედაგოგიური წოდებები და ხარისხები, განახორციელოს საკუთარი საკადრო, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა არსებული კანონების შესაბამისად, ზოგიერთი სხვა".

დეკლარაციის თანახმად უნივერსიტეტი კისრულობს მთელ რიგ ვალდებულებებსაც. მათგან მთავარია განათლებული, მოაზროვნე, ქვეყნის ღირსეული სპეციალისტებისა და მოქალაქეების აღზრდა.

საქინფორმი



# სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა დასახმარებლად

გასულ წელს საქართველოს თავზე დატრიალებული ტრაგედიები, ალბათ, დიდხანს გაჰყვება ერს მოუშუშებელ ჭრილობებად. მაგრამ, ამავე დროს ჩვენდა სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ ყოველ მათგანს მტკიცედ დავუხვდით და ერთმანეთის მხარდამხარ თანადგომით მეტნაკლებად ვძლევთ მათ. სწორედ ასეთ გასაჭირში ამ საერო საქმეში მტკიცდება ის ძალა, რასაც ეროვნული სულისკვეთება ჰქვია. მაგალითისათვის თუნდაც სტიქიით დაზარალებულ აჭარელ ძმათათვის დასახმარებლად გაშლილი მოძრაობის დასახელებაც კმარა. ალბათ, არ დარჩენილა არც ერთი ქართველი, არც ერთი ორგანიზაცია თუ დაწესებულება, ვისაც მცირედი მონაწილეობა არ მიეღო.

სხვებს არც დედაქალაქის კომკავშირლები გამოაკლდნენ. კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით დახმარების ფონდში გადაირიცხა 100 000 მანეთი, ახალქალაქის რაიონის სოფელ ოკამში აშენდა სამი საცხოვრებელი სახლი. ამჟამად კი მიმდინარეობს მოლაპარაკება სახლების შესყიდვაზე ბოლნისის რაიონში.

დახმარების აქცია გრძელდება.

საქართველოს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პრესცენტრი

ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი,

## მიტინგი მოსკოვში ანუ თებერვალი — ზამთრის ბოლო შანსი...


მე-7 გვ.

(დასასრული)

გადაისინჯოს კომუნისტური პარტიის ამჟამად მოქმედი პროგრამის მთელი რიგი პრინციპული დებულებანი, რომლებიც არ შეესატყვისება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კიდეც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების განვითარების დღეს უკვე მიღწეულ და პერსპექტიულ დონეს, არ ითვალისწინებს ობიექტურ რეალობებს, ეროვნულ ინტერესებს, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს საერთო-საკაცობრიო ღირებულებებსა და იდეალებს;

აქტიურად შეუწყოს ხელი რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევას დიდნაყოფიერი შრომისათვის სათანადო სტიმულების შექმნის, დახვეწილი პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის უზრუნველყოფის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თვისებრივი გარდაქმნის გზით, ყველაფერი ილონოს სოციალური სამართლიანობის პრინციპების, ადამიანთა უფლებების საყოველთაო და განუხრელი დაცვისათვის.

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა გაიმართება 1990 წლის აპრილში. მან უნდა შეიმუშაოს საბოლოო გადაწყვეტილებანი ყველა საკითხზე, რომლებიც აღელვებთ რესპუბლიკის კომუნისტებს, მთელ საზოგადოებას. უპირველესად ეს უნდა შეეხოს თანამედროვე ეტაპზე პარტიის მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს.

ჩვენ ვემხრობით კონსტრუქციული პლურალიზმის იდეას, როცა ყოველ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მოძრაობას, პიროვნებას ექნება უფლება არა მარტო გამოხატოს თავისი აზრი, არამედ ექნება იმის უფლებაც, რომ ხელისუფლების ორგანოებში წარმომადგენლობის გზით დაიცვას იგი. ჩვენ ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს, რომ რესპუბლიკაში სახალხო მმართველობასა და მომავალ პარლამენტარიზმს სწორედ ასეთი მიდგომა დაედოს საფუძვლად.

საქართველოს კომპარტია თავის წინასაარჩევნო პლატფორმას არ უპირისპირებს სხვა კონსტრუქციულ იდეებსა და პოზიციებს, თუკი ისინი გამოხატავენ რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტისაკენ მიმართულ ჭეშმარიტ საზოგადოებრივ ინტერესებს და ერთიანობისა და პროგრესის საქმეს ემსახურებიან. ჩვენ მზად ვართ ვეძებოთ ურთიერთმისაღები კომპრომისები ყველაზე რადიკალურ პოზიციებთანაც კი, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საერთო მიზნებს — უზრუნველვყოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია, მაღალი შრომითი რიტმი, თავი ავარიდოთ ანარქიას, ქაოსს, მოვლენათა განვითარების სტიქიურობას.

საზოგადოებრიობა დასახელებული დეპუტატობის კანდიდატებისაგან ელის არა მარტო დაპირებებს, არამედ რეალურ, კონკრეტულ მოქმედებას, რომელიც ხალხის კეთილდღეობის სწრაფი გაუმჯობესების, ეროვნული ერთიანობისა და შეკავშირების, საქართველოს თავისუფალი და მშვიდობიანი განახლების საქმეს ემსახურება.

საქართველოს კომპარტია თავისი წარმომადგენლებისაგან, საერთო საფუძველზე დასახელებული დეპუტატობის კანდიდატებისაგან სწორედ ასეთ მიდგომას მოითხოვს. ეს კი გამორიცხავს სწრაფვას სიმართლის ყოველგვარი მონოპოლიზაციისაკენ და განსხვავებულად აზროვნების მიუღებლობას, ყოველგვარ ბრძოლაში, დიალოგში, ოპონირებასა თუ პარტნიორობაში ამკვიდრებს მხოლოდ მაღალ ზნეობრივ კრიტერიუმებსა და ჰუმანისტურ იდეალებს.

ამომრჩევლები, უეჭველია, ხმას მისცემენ დეპუტატობის იმ კანდიდატებს, რომლებიც ეროვნული განვითარების პროგრამასთან ერთად, პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელთა უფლებების დაცვას, მათი კულტურის, ენის, ეროვნული თავისებურებების, ეროვნული სამართლიანობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ძირძველი ტრადიციების განმტკიცების პრობლემებს.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ შეუწყნარებელია პიროვნების ან მისი წინასაარჩევნო პროგრამის დისკრედიტაცია მხოლოდ იმის საფუძველზე, თუ რომელ პოლიტიკურ პლატფორმაზე დგას კანდიდატი. თანამდებობრივი და სოციალური მდგომარეობა კი არა, კომპეტენტურობა, ზნეობრიობა, პატრიოტიზმი, ეროვნული ინტერესები, აგრეთვე, რადიკალური დემოკრატიული გარდაქმნების იდეალების მხარდაჭერა უნდა იყოს კანდიდატებისადმი ჩვენი დამოკიდებულების კრიტერიუმი, თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების საფუძველი.

ჩვენ გულწრფელად გვსურს, რომ ეს პოზიცია გაიზიარონ იმათაც, ვინც დღეს არჩევნებს ბოიკოტისათვის მოუწოდებს, ვინც ცდილობს ნდობა შეურყიოს საქართველოს კომპარტიის წევრებს. ეს გზა ჩვენ ეროვნულ თანხმობასა და კონსოლიდაციასთან ვერ მიგვიყვანს.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, იმას, რომ ტოტალიტარულ-რეპრესიული, ასევე მბრძანებლურ-ადმინისტრაციული და უძრაობის სისტემების მანკიერებანი გააშიშვლა სწორედ პარტიის მიერ დაწყებულმა გარდაქმნის პროცესებმა. პარტიის განახლება და გაწმენდა ხომ საჯაროდ, მთელი საზოგადოების თვალწინ მიმდინარეობს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ უფრო ენერგიულად განთავისუფლდება პარტიის რიგებს მიტმასნილი ბიუროკრატების, მექრთამეების, საქმოსნების, კორუფცირებული ელემენტებისგან, უფრო ინტენსიურად განაგრძობს თვითგანახლებისა და სრულყოფის პროცესს. მაგრამ თვითგანწმენდა მხოლოდ პარტიას როდი სჭირდება. განწმენდა და კრიტიკული თვითანალიზი ესაჭიროება მთელ საზოგადოებრივ ორგანიზმს, ყველა მის ოფიციალურ და არაოფიციალურ სტრუქტურას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველ ჩვენგანს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენს ძალებში, გარდაქმნათა შეუქცევადობაში, საქართველოს წინაშე მდგომი ამოცანების უთუო შესრულებაში, რადგან რესპუბლიკის კომუნისტთა უმრავლესობა, რომლებიც წარმოადგენენ მუშებს, გლეხებს, სამეცნიერო და შემოქმედებით ინტელიგენციას, სტუდენტობას, — პატიოსანი, მშრომელი, თავდადებული ადამიანები არიან, რომლებსაც არა აქვთ სხვა მიზანი, გარდა რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის ჰარმონიული, თავისუფალი განვითარებისა, რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მიღწევისა, დღევანდელი და მომავალი თაობების მატერიალური კეთილდღეობის და სულიერი სრულყოფილებისა, მათი ბედნიერებისა.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მომავალი არჩევნები სწორედ ამ ამოცანის განხორციელებას შეუწყობს ხელს. ჩვენი განვითარების პერსპექტივა დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ჩამოვაყალიბებთ ხელისუფლების ორგანოებს.

სწორედ ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიმართავს რესპუბლიკის ყველა ამომრჩეველს მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ მნიშვნელოვან მოვლენას. არჩევნებში მხოლოდ ამაღლებული იდეალების და ჭეშმარიტი ეროვნული პოზიციებიდან აქტიური და დაინტერესებული მონაწილეობა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება გარდაქმნის, კონსოლიდაციის, თანამშრომლობისა და გაერთიანების, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის გზაზე.

**მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე 1990 წლის 31 იანვარს.**

# „ერთობა“ — ახალი გაზეთი

საქართველოში — დღეს ახალი გაზეთის გამოსვლა აღარავის უკვირს. ჩვენთან არსებულ თითქმის ყველა პარტიას აქვს თავისი ორგანო, გამოდის კომერციული სარეკლამო გაზეთებიც. და აი, ამ ზღვა ინფორმაციაში კიდევ ერთი სიახლე გამოჩნდა — თბილისის საქარხნო რაიონის საინფორმაციო გამოცემა „ერთობა“.

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!“, ეს სიტყვებია გამოტანილი გაზეთის დევიზად, რომლის მიზანიც როგორც მკითხველისადმი მიმართვაშია ნათქვამი, საქართველოში მცხოვრებთა ერთაზრობა და ერთსაქმობაა.

მართალია, გაზეთი რაიონის ხელმღვანელი ორგანოების ინიციატივითა და ხელშეწყობით გამოვიდა, მაგრამ იგი არ არის პარტიული გაზეთი, უბრალოდ, იგი ხალხის გაზეთია. და აი, რატომ: ინფორმაცია, რომელსაც „ერთობა“ ბეჭდავს, პირველ რიგში ხალხისათვის საჭირო და სასარგებლო ინფორმაციაა. აქაა რაიონის სტატისტიკაც და იმ ხელმძღვანელ მუშაკთა ტელეფონებიც, ვისთანაც ყოველ ჩვენგანს თვეში ერთხელ მაინც გვიწევს რაიმე საკითხზე მისვლა.

საინტერესოა — ისიც, რამდენი მრავალშვილიანი ოჯახია რაიონში, რამდენია მათგან ქართველი და რამდენს აწუხებს ბინის პრობლემა (სხვათაშორის, დღეს ეს საკითხები ერთი რაიონის ფარგლებს სცილდება...).

ამ პრობლემის გვერდით შეიძლება უმნიშვნელოც ჩანდეს, მაგრამ არანაკლებ პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ჩვენს ქუჩებს ისევ ალექსეევკის, იუმაშევის, ნარიმანოვის, კაიროს სახელები ჰქვიათ და არა ქართული, ეროვნული.

რა თქმა უნდა, გაზეთის პირველ ნომერს გარკვეული ხარვეზები აქვს. მაგალითად: ვფიქრობთ, კოოპერატივების სარეკლამო განცხადებები ორივე (ქართულ და რუსულ) ენებზე უნდა იყოს დაბეჭდილი და არა, ვთქვათ, ერთი — ქართულად, ერთიც — რუსულად. მაგრამ ეს პირველი ცდაა სახალხო გაზეთის გამოშვებისა და სასიამოვნოა, რომ იგი გამოვიდა (თუნდაც 10 ათასი ცალი ტირაჟით) და რომ უფასოდ მიიღეს საქარხნო რაიონში მცხოვრებლებმა.

**საკუთარი ინფორმაცია**

# ახალი ტიპის სამეცნიერო კერა

ეროვნული მოძრაობისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების შემსწავლელ სახალხო უნივერსიტეტში (რექტორი — გიზო ჭელიძე, პრორექტორი — თენგიზ თუმანიშვილი), რომელიც არსებობს საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდურ ცენტრთან და საქართველოს საზოგადოება „ცოდნასთან“, ჩატარდა მორიგი მეცადინეობა თემაზე „ოსები, ოსეთი და ალანთა პრობლემა“.

სახალხო უნივერსიტეტი მოწოდებულია თავის მსმენელებს (განათლების სახალხო სამინისტროს თანამშრომლები, ქალაქის პედაგოგიური საზოგადოების წარმომადგენლები) მიაწოდოს სწორი და მეცნიერულად დასაბუთებული ცოდნა ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემებზე და ხელი შეუწყოს ეროვნული მოძრაობის განვითარებას საქართველოში.

მეცადინეობაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა სახალხო უნივერსიტეტის რექტორი გიზო ჭელიძე. მოხსენებები წაიკითხეს მეცნიერებმა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლალი ჯავახიშვილმა, პროფესორებმა: ჯონდო გვასალიამ, გურამ ყორანაშვილმა, შოთა ბადრიძემ, დოცენტმა ვახტანგ ითონიშვილმა.

მეცადინეობაზე ითქვა, რომ დღეს-დღეობით საქმე გვაქვს ოსური მოსახლეობის სამ გაერთიანებასთან. ესენია: თავად ოსეთი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაშია განსახლებული ავტონომიური რესპუბლიკის სახით, შიდა ქართლში მცხოვრები ოსები; რომელთაც მიკუთვნებული აქვთ ავტონომიური ოლქის სტატუსი და თბილისსა და მის მიმდებარე რაიონებში მცხოვრები ოსები. ამ უკანასკნელებს ქართველ ხალხთან მართლაც აკავშირებს ძმობა და მეგობრობა, ხოლო რაც შეეხება საკუთრივ ოსეთს, მასთან ქართველთა დამოკიდებულება დღეს-დღეობით ნეიტრალურია. ექსტრემალური მდგომარეობა შექმნილია მხოლოდ და მხოლოდ შიდა ქართლის ოსეთში, ეგრეთ წოდებულ ავტონომიურ ოლქში.

ხაზგასმით ითქვა, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს ეთნო-კულტურულად განსხვავებული ტიპი არ შეუქმნიათ: მათი მოსაზრებანი აბორიგენობის შესახებ, მტკნარი სიცრუეა. მეცნიერებმა ყოველნაირად დაასაბუთეს ოსების შიდა ქართლში განსახლების „გუშინდელობა“. ფაქტებით გააბათილეს მოსაზრებანი, თითქოს ოლქში შეზღუდული იყოს ოსური ენის ხმარება, ოსური კულტურის განვითარება.

შიდა ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხზე ისაუბრა პროფესორმა ჯონდო გვასალიამ.

იქვე ბატონმა ჯონდო გვასალიამ აღნიშნა, რომ XIX საუკუნემდე შიდა ქართლი ანუ ისტორიული დვალეთი (სამაჩაბლო, საერისთავო, საფალავანდო) საქართველოს საკუთრება იყო და რომ ოცდახუთსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს ტერიტორიაზე არ ყოფილა არავითარი ოსური დასახლება.

მეცადინეობაზე წარმოჩენილი იქნა საქართველოს ისტორიული რუკა, რომელზე დაყრდნობითაც განმტკიცდა აზრი, რომ ისტორიულ-გეოგრაფიულად ოსები საქართველოში მოჩანან კანტი-კუნტად XVII საუკუნეში, ხოლო XIX საუკუნეში ჩნდება შიდა ქართლში მათი ეთნიკური წარმონაქმნი.

ამ დროისათვის ცხინვალში (ქრცხინვალი; შეადარეთ ხც-ინვალი და ცხუმი) ოსური ოჯახები თითქმის უმნიშვნელოა.

აქვე დაისვა ტოპონიმიკის საკითხი. ადგილის სახელწოდებები უტყუარი ისტორიული საბუთებია განსახლებულ ტომთა ვინაობის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შიდა ქართლის ტერიტორიაზე, უამრავია ქართველური ტოპონიმიკები (საკუთრივ ქართული, სვანური და ზანური), ვფიქრობთ, „ადამონ ნიხასის“ „თეორია“ ღიმილს იწვევს.

მეცადინეობაზე ითქვა ოსთა სარწმუნოების შესახებაც.

მეცადინეობაზე გამოითქვა დიდი მადლიერების გრძნობა თბილისელი, გორელი, ქარელელი და სხვა რაიონებში მცხოვრები ოსების, თბილისელი ოსური ინტელიგენციის მისამართით, რამე თუ ისინი მტკიცედ დადგნენ ისტორიული ჭეშმარიტების მხარეზე და შექმნეს ახალი გაერთიანება — ოსთა ასოციაცია — „სიმართლე“, რომელიც მტკიცედ ამხელს „ადამონ ნიხასის“ მესვეურთა სეპარატისტულ, ექსტრემისტულ და ანტიქართულ „პოლიტიკას“.

**მზია აბრამია**

# სხვა გზა არა გვაქვს...

წელიწადნახევარია, რაც ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს სადისკუსიო კლუბი. მის საქმიანობაში ძირითადად სტუდენტები მონაწილეობენ. ჩვენი მთავარი მიზანი შიდა საუნივერსიტეტო საკითხებია.

მოგეხსენებათ, პირველი იანვრიდან პოლიტექნიკური ინსტიტუტი ტექნიკურ უნივერსიტეტად გადაკეთდა. ახლადფეხადგმული უნივერსიტეტის საქმიანობა უნდა შეეფერებოდეს მის სახელს, დღეს ეს ჩვენი უმთავრესი პრობლემაა.

უპირველეს ყოვლისა გვაღელვებს სასწავლო პროცესის საკითხი. კერძოდ ის, რომ თითქმის ყველა სპეციალობის სტუდენტს ხუთი წლის განმავლობაში ორმოცამდე დისციპლინა ეკითხება. ეს კი ჩვენის აზრით, ყოვლად დაუშვებელია.

სწავლების პროცესში გამორიცხულია თავისუფლების ყოველგვარი ელემენტი. სტუდენტებისა და ლექტორების მხრივ მთავარი ყურადღება ეთმობა ფორმალურ მხარეს. ცოდნაზე კი არავინ ფიქრობს. მთავარია წესრიგში იყოს უწყისები და საბუთები. ყოველივე ეს თავის მოტყუებას ჰგავს, არადა, ფორმალურის გაფეტიშება არ მოგვცემს საშუალებას შევქმნათ თავისუფალი განათლების სისტემა.

დეკანატები იძულებულნი არიან შეასრულებინონ სტუდენტებს უამრავი განაწესი, რომლებიც არავინ იცის, როდის და ვის მიერ არის შემოღებული.

გსმენიათ, ალბათ, სწავლა წამებააო და ეს ბუნებრივიცაა, რადგან თავს მოხვეული სისტემა, ცოდნის შეძენისაკენ ბუნებრივ სწრაფვას ახშობს.

ჩვენ არა გვყავს კარგი ინჟინრები და არც გვეყოლება, სანამ ტექნიკურ უნივერსიტეტში საფუძვლიანად არ შეიცვლება დოგმატური შეხედულებები სწავლაზე. ბევრი ლექტორისაგან ისიც მოგვისმენია, კაცს სწავლა თუ უნდა, ის ამას ყოველგვარ პირობებში მოახერხებსო, მაგრამ ამგვარი დემაგოგია საქმეს ვერ წაადგება.

სიტყვით თითქოს ყველა მომხრეა საქმის გამოსწორებისა, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ სიტყვით. ინსტიტუტის რეფორმას პასიური მხარდამჭერები უფრო მეტ ზიანს მიაყენებენ, ვიდრე აქტიური მოწინააღმდეგენი. ვერავითარი ადმინისტრაციული მეთოდებით ვერ მოხერხდება სწავლების გაუმჯობესება, თუ არ შეიცვალა პროგრამები, მაქსიმალურად თუ არ შემცირდა სასწავლო დისციპლინათა რიცხვი. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სწავლა საინტერესო და მიზანდასახული გახდეს.

არც საზღვარგარეთ ახალგაზრდების გაგზავნაა გამოსავალი. საზღვარგარეთ სწავლა კარგია, მაგრამ ჩვენ საკუთარი სკოლა და ინსტიტუტი უფრო გვჭირდება. დასავლეთიდან განსწავლული სპეციალისტების ლოდინი დიდხანს დაგვაყოვნებს.

ასეთი პოზიცია აქვს ჩვენს კლუბს და ვცდილობთ დავიცვათ [illegible] მაგრამ პოზიციის დაცვას ძალა და მხარდაჭერა სჭირდება. საამისოდ ტექნიკურ უნივერსიტეტში იქმნება სტუდენტური პროფკავშირი, იგი ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკავშირებიდან დამოუკიდებლად იარსებებს. ვფიქრობთ, პროფკავშირის მთავარი დანიშნულება მისი წევრების სოციალური უფლებების დაცვა უნდა იყოს. თავისუფალი განათლების უფლებაც სტუდენტის სოციალურ უფლებათა რიცხვს ეკუთვნის. ამ მხრივ კი ყველაფერი ვერაა წესრიგში.

მიგვაჩნია, რომ ახლადშექმნილმა სტუდენტურმა ორგანიზაციამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს განათლების სისტემის რეფორმაში. იგი ოპოზიციაში უნდა ჩაუდგეს კონსერვატორულ ძალებს, მაგრამ ამ ოპოზიციას კონსტრუქციული სახე უნდა მიანიჭოს.

დღეს საჭიროა ახალგაზრდობამ სრული შეგნებით შეხედოს ცხოვრებას, სხვაგვარად ჩვენს მომავალს სერიოზული საფრთხე ემუქრება...

**ბესიკ ჭილოსანი,**
**ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, სადისკუსიო კლუბის წევრი.**

# აქტუალური დიალოგი

## მიზანი: ეკონომიკური დამოუკიდებლობა

**დღევანდელი საბჭოთა ეკონომიკა (და არა მარტო ეკონომიკა) ძალიან წააგავს ციცაბო დაღმართზე დაგორებულ მატარებლის უზარმაზარ შემადგენლობას, რომლის მუხრუჭები მოშლილია და დიდი სისწრაფით მიექანება უფსკრულისაკენ. ჩვენი „სამეურნეო მატარებელი" ჩვეულებრივი მატარებლისაგან იმით განირჩევა, რომ მისი საჭის ხელში ჩაგდებას მრავალნი ლამობენ. გარდა ამისა, „სამეურნეო მატარებლის" ცალკეული ვაგონების მგზავრები ენერგიულად ცდილობენ როგორმე გამოხსნან თავიანთი ვაგონები უფსკრულისაკენ მიმავალი შემადგენლობიდან და გადაირჩინონ საკუთარი თავი. ამ მიზნით ისინი წინასწარ საჭეებსაც ამონტაჟებენ თავიანთ ვაგონებზე და ოდესღაც უიმედოდ მოშლილი ძრავების აღდგენაზეც ზრუნავენ.**

**სწორედ უფსკრულისაკენ მიმავალი „სამეურნეო მატარებლის" გადარჩენის პრობლემებს მიეძღვნა ამა წლის ამ ცოტა ხნის წინათ ქალაქ მცხეთაში გამართული საკავშირო ეკონომიკური სიმპოზიუმი — „მეურნეობების ახალი ფორმები და მართვითი ურთიერთობების სრულყოფა" — რომლის ორგანიზატორებიც არიან საქართველოს სამეცნიერო-ეკონომიკური საზოგადოება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის მართვის საფუძვლების კათედრა.**

**გვესაუბრება ამ სიმპოზიუმის ერთ-ერთი ორგანიზატორი დოცენტი ემირ ჯუღელი:**

**— ბატონო ემირ, სიმპოზიუმის სახელწოდება — „მეურნეობის ახალი ფორმები და მართვითი ურთიერთობების სრულყოფა" — ძალიან ტევადია და უამრავ პრობლემას მოიცავს. უფრო კონკრეტულად რა საკითხებს მიეძღვნა მცხეთის სიმპოზიუმი?**

— სანამ უშუალოდ სიმპოზიუმის პრობლემატიკას შევეხებოდეთ, ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ თვით სიმპოზიუმის მცირე ტრადიციაზე. იგი ამჯერად უკვე მეორედ გაიმართა. პირველი სიმპოზიუმი შედგა 1987 წელს. მაშინ მისი გეოგრაფია ჩვენი რესპუბლიკით შემოიფარგლა. როგორც ხედავთ, მეორე სიმპოზიუმი უკვე საკავშირო იყო. ორგანიზატორებს განზრახული აქვთ მესამე — უკვე საერთაშორისო სიმპოზიუმის 1991 წელს გამართვა. ერთი სიტყვით, სურვილი გვაქვს და ალბათ, მივაღწევთ კიდეც იმას, რომ მცხეთის სიმპოზიუმი ტრადიციული გავხადოთ. რაც შეეხება პირველ სიმპოზიუმს, მოგახსენებთ, რომ მისი პრობლემატიკა მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურებში ცვლილებების შეტანის საკითხებით შეიზღუდა. ჯერ კიდევ 1987 წელს ბევრი ფიქრობდა, რომ სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურებში ცვლილებების შეტანით შეიძლებოდა მოსალოდნელი კრიზისის თავიდან აცილება, მაგრამ აი, გავიდა კიდევ ორი წელი და თვალნათლივ დავინახეთ, რომ ამ ხნის მანძილზე განხორციელებულმა ღონისძიებებმა კრიზისი თავიდან ვერ აგვაცილა. მოვლენათა განვითარებამ აშკარად ნათელჰყო ის ფაქტი, რომ მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურებში ცვლილებების შეტანა მხოლოდ კოსმეტიკური საშუალება ყოფილა, რომლის მეშვეობით სსრ კავშირის ეკონომიკის გაჯანსაღება პრინციპულად შეუძლებელია. ახლა უკვე მრავალი სწავლული ეკონომისტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია კიდევ უფრო გავაღრმავოთ კრიზისის გამომწვევ მიზეზთა თეორიული კვლევა. სწორედ ამ მიზნით მეორე სიმპოზიუმის პრობლემები მივუძღვენით შემდეგ საკითხებს: 1. მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში ფუნქციონირების პრობლემები; 2. საკუთრების ფორმების და მათი წარმოების ორგანიზაციის და მართვის საკითხებში ასახვის თეორიული პრობლემები.

**— ვინ იყვნენ წარმოდგენილი სიმპოზიუმზე?**

— სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ძირითადად ის მეცნიერები, ეკონომისტები, რომლებიც სახალხო მეურნეობის მართვის თეორიის საკითხებზე მუშაობენ. მონაწილეთა გეოგრაფია საკმაოდ ფართო იყო. გვეწვივნენ ბალტიისპირეთის, მოსკოვის და სსრ კავშირის სხვა სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები.

**— ვის მოხსენებებს გამოყოფდით განსაკუთრებით?**

— არავისთვის არ ყოფილა მოულოდნელი, რომ რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში მუშაობის მთელი რიგი საკითხები ბალტიისპირელ მეცნიერებს უკეთ აღმოაჩნდათ დამუშავებული. ისინი რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის იდეის შემოქმედნი არიან და შესაბამისად ამ იდეის განხორციელებისათვის ბრძოლის ავანგარდში იმყოფებიან. წარმოდგენილი მოხსენებებიდან ცალკე გამოყოფას იმსახურებს პროფესორ ვ. რაპოპორტის და ა. გოცირიძის ერთობლივი მოხსენება — „რეგიონის განვითარების სამეურნეოანგარიშებრივ-ეკონომიკური მართვის სისტემა". სიმპოზიუმზე ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ესტონელი რ. ლინნასის და ა. სტოლბოვის მოხსენებამ —



„ესტონეთის სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობა რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრინციპების რეალიზაციისათვის". არ შემიძლია, არ გამოვყო ო. კარლოვას და ა. ესკინას ერთობლივი მოხსენება „ეკონომიკური ანალიზის მეთოდები საბაზრო მექანიზმის პირობებში".

**— ქართველი ეკონომისტებისაგან ვისმა გამოსვლამ მიიქცია ყურადღება?**

— უპირველეს ყოვლისა აღნიშვნას იმსახურებს რომან გოცირიძის მოხსენება „საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციის შესახებ", რომელიც ძირითადად ეყრდნობა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ეკონომიკური კომისიის მიერ შემუშავებული საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციას და რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა ქუთაისელი ეკონომისტის მ. ენუქაშვილის მოხსენებამ, რომელშიც წარმოჩენილი იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული საკითხები და რიგი კონკრეტული ამოცანებისა მეურნეობრიობის დღევანდელი ფორმებიდან საბაზრო მექანიზმზე გარდამავალ პერიოდში.

**— აზრთა სხვადასხვაობას შეეხეთ. ვინ და რა განსხვავებული მოსაზრებანი გამოთქვა?**

— დიახ, გამოითქვა განსხვავებული აზრიც, მაგრამ სამწუხაროდ განსხვავებული ყოველთვის არ ნიშნავს ახალს და პროგრესულს. სიმპოზიუმზე გამოთქმული განსხვავებული აზრის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციულ მბრძანებლური სისტემის ზეგავლენით ათწლეულების მანძილზე დაშტამპული აზროვნება, ანუ აზროვნება ყავლგასული პრინციპებით. მათ, ვინც ძველ პრინციპებს ეფუძნებიან, ვერ წარმოუდგენიათ, თუ როგორ შეიძლება, რესპუბლიკებმა იარსებონ ურთმანეთოდ, ანუ თუნდაც ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ ერთად, ოღონდ რუსეთის სფსრ-ს გარეშე. ამ საკითხებზე მსჯელობისას ხსენებული კატეგორიის მეცნიერებს ისიც კი ავიწყდებათ, რომ არსებობს საერთაშორისო კოოპერაციული კავშირები და რომ მაგალითად, დონბასიდან მოსკოვში ქვანახშირის გაგზავნისათვის სრულიადაც არაა აუცილებელი ამ ოპერაციის სახელმწიფო გეგმაში შეტანა-დამტკიცება, თუ მიმწოდებელ-მომხმარებელ მხარეებს ურთიერთთან პირდაპირი სავაჭრო ხელშეკრულების დადების იურიდიული უფლება ექნებათ. ამგვარად მოაზროვნე ეკონომისტთაგან სიმპოზიუმზე გამოირჩეოდა პროფესორი ი. ბოგატინი, რომელმაც წაიკითხა მოხსენება „სამეურნეოანგარიშებრივი ურთიერთობების სრულყოფა ეკონომიკის გარდაქმნის პერიოდში". მისი დასკვნები და წინადადებები არავითარ სიახლეს არ შეიცავენ და მთლიანად იმ მოძველებულ და რეაქციულ დებულებებს ეფუძნებიან, რომლებიც ჩაწერილია სკკპ პლატფორმაში ეროვნული პოლიტიკის სფეროში.

**— ოფიციოზის პოზიციას შეეხეთ, ვგონებ მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს შექმნილი ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით საკავშირო ხელისუფლების მიერ აღებული კურსის თქვენეული შეფასება.**

— მიმაჩნია, რომ საკავშირო მთავრობა ამ მიმართულებით ისევ და ისევ „საკერებლების პოლიტიკას" ადგას. მის მიერ აქამდე დასახულ არცერთ ღონისძიებას არ შესწევს უნარი გაიყვანოს განვითარების სწორ გზაზე ჩვენი სახალხო მეურნეობა. ეს ღონისძიებანი ეკონომიის დროებითი ზემოქმედების უნარის მქონენი არიან და მაქსიმუმი რაც მათ შეუძლიათ, ესაა ერთ ლაბირინთში გახლართული ჩვენი სახალხო მეურნეობის გამოხსნა... მისი მეორე ლაბირინთში გახლართვის ხარჯზე.

**— კონკრეტულად რაში ხედავთ კრიზისიდან თავის დაღწევის სამთავრობო ღონისძიებების უხეირობას და თავად როგორ გესახებათ ამ კრიზისიდან გამოსვლის გზა?**

— ხელისუფლების მიერ გაპიარებული ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ქმედითობას მოკლებულნი არიან იმის გამო, რომ თითქმის ყველა მათგანი სანახევროა. არადა დარწმუნებული ვარ (და მარტო მე არ ვფიქრობ ასე), რომ კრიზისიდან პრინციპულად თავის დაღწევისათვის აუცილებელია ჭეშმარიტად რადიკალური, რევოლუციური ნაბიჯის გადადგმა — მოკავშირე რესპუბლიკებისათვის სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობის მინიჭება. უკვე ყველასათვის (მათ შორის თავად ცენტრისთვისაც) აშკარაა, რომ ამხელა ქვეყნის ერთი ცენტრიდან მართვა, ძალზე რბილად რომ ვთქვათ, ქმედითუნარიანობას მოკლებულია. ცენტრიც ხვდება, რომ ძველებურად მართვა აღარ შეუძლია, ვერ აუდის ყველა იმ ფუნქციის შესრულებას, რომელნიც აშკარად არ უნდა შედიოდნენ მის კომპეტენციაში, მაგრამ მან ის ფუნქციები ნებაყოფლობით დაიკისრა. ახლა იმის ნაცვლად, რომ ერთბაშად თქვას უარი ყველა მისთვის უცხო ფუნქციებზე და ამით ჩახლართული კვანძი ერთბაშად გახსნას, იგი ნაწილ-ნაწილ უთმობს ამ ფუნქციებს სხვებს, ზოგჯერ მათ, ვის კომპეტენციაშიც ნამდვილად უნდა შედიოდნენ ეს ფუნქციები, ზოგჯერაც იმათ, ვისთვისაც ეს ფუნქციები აშკარად უცხოა. ცენტრის ამგვარი მერყევი და მომლოდინე პოზიცია კი კიდევ უფრო აჭიანურებს ისედაც გაჭიანურებულ კრიზისს.

**— ერთი ჩემი ყოფილი პედაგოგი სსრ კავშირის მასშტაბის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ერთიანი გეგმით გეგმაზომიერი, შეწონასწორებული და ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობას მსოფლიოს მერვე საოცრებად მიიჩნევს. თქვენ რას იტყოდით?**

— სავსებით ვეთანხმები თქვენს პედაგოგს. გვინდა თუ არ გვინდა იძულებული ვართ ვაღიაროთ ის ტრივიალური ჭეშმარიტება, რომ შინაგან ერთიანობას მოკლებული, ხელოვნურად შეკოწიწებული დიდი მასშტაბის და სირთულის მექანიზმის მართვა გაცილებით უფრო ძნელია (თუ საერთოდ შესაძლებელია მისი მართვა!), ვიდრე შინაგანად ერთიანი მცირე ან საშუალო მასშტაბის მექანიზმისა.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ მთელი ჩვენი პლანეტა მუშაობს ერთიანი გეგმით, რომელიც მტკიცდება რომელიღაც უზენაესი ორგანოს მიერ დედამიწის ერთ-ერთ ქალაქში (ვთქვათ უგანდის დედაქალაქ კამპალაში) და არცერთ ორგანიზაციას ცენტრის ნებართვის გარეშე არა აქვს უფლება თავად მოძებნოს პარტნიორი, გაზარდოს ან შეამციროს წარმოების მოცულობა, განაახლოს ასორტიმენტი, დანერგოს ახალი ტექნოლოგია და ასე შემდეგ. მოკლედ, უგეგმოდ თითის განძრევის უფლებაც კი არა აქვს. ხომ გვარიანად დამუხრუჭდება პლანეტის ეკონომიკური განვითარება? აბა, მაშ ჩვენი კრიზისული სიტუაცია რაღად გვაოცებს? გავიხსენოთ მხოლოდ ის ფაქტი, რომ სსრ კავშირში ამჟამად თითქმის ორი ათეული მილიონი დასახელების პროდუქცია იწარმოება, და ნათელი გახდება, რომ ამ მასშტაბის წარმოების ერთიან გეგმაში უხარვეზოდ მოთავსება უბრალოდ აბსურდია. სადღაც ვიღაცას მაინც გაეპარება თუნდაც სრულიად უსუსური შეცდომა, შედეგად კი მთელი ქვეყანა ერთბაშად დარჩება ხან კარაქის, ხან ხორცის, ხან პურის, ხან ასანთის, ხან სარეცხის ფხვნილის, ხან საპნის, ხან ყველის (და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამის) გარეშე!

ასე, რომ მართალი ბრძანდება თქვენი პედაგოგი, როდესაც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გამართულად და უხარვეზოდ ფუნქციონირებას მსოფლიოს მერვე საოცრებას უწოდებს. მერვე საოცრების ამბავი კი მოგეხსენებათ — აგერ უკვე რამდენი ხანია ველით მის მოხდენას, ის კი ჯიუტად არა და არ ხდება.

**— დავუბრუნდეთ სიმპოზიუმს. როგორი საერთო აზრი ჩამოყალიბდა შექმნილი ეკონომიკური კრიზისიდან საბოლოოდ და პრინციპულად თავის დაღწევის თაობაზე?**

— საერთო აზრი არ ჩამოყალიბებულა. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ საკითხზე ქართველ და ბალტიისპირელ სწავლულ ეკონომისტებს ერთნაირი მოსაზრებანი გააჩნიათ, რომლებსაც ჯერჯერობით არ იზიარებენ ცენტრალური რეგიონების წარმომადგენლები. ამ უკანასკნელთ აშკარად უჭირთ ძველებური, სტერეოტიპული აზროვნების ტყვეობიდან თავის დაღწევა. მეცნიერული კამათისას ისინი ხშირად მეცნიერული არგუმენტების ნაცვლად იმ ადმინისტრაციულ ინსტრუქციებსა და სამართლებრივ აქტებს იშველიებენ, რომლებიც თავის მხრივ მახინჯმა ეკონომიკურმა სისტემამ წარმოშვა. ამ მხრივ მცხეთის სიმპოზიუმი ძალიან წააგავდა სსრკ სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობას. სადაც ყოველ სიახლეს (ხშირად მეცნიერულად გააზრებულსა და დასაბუთებულს) ხვდებოდნენ როგორც მტრულსა და მიუღებელს. არადა, დროა, მეცნიერებამ თავი დააღწიოს აზროვნების დახავსებულ სტილს. მეცნიერებმა რეალობას უნდა გაუსწორონ თვალი და აღიარონ, რომ სსრ კავშირის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის იმგვარად მართვა, როგორც აქამდე წარმოებდა, შეუძლებელია. სწორედ ამის დროულად დაუნახაობა და გაუცნობიერებლობაა იმ ეგზომ ღრმა და გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რომელშიაც ახლა ვიმყოფებით.

**— კიდევ რა მნიშვნელოვანი პრინციპული სიახლე აღინიშნა სიმპოზიუმზე?**

— სიმპოზიუმზე განსაკუთრებით გამოიყო გაცემული განკარგულებებისა და გადაწყვეტილებების საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებლობის საკითხი. დასამალი არაა, რომ აქამდე მეცნიერებას ძალიან ცოტა რამეს თუ ეკითხებოდნენ და ამის გამო მეცნიერებიც ჩრდილში იდგნენ. სამეურნეო ხასიათის სამმართველო განკარგულებები და ბრძანებები გაიცემოდა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ, რომლებიც თავიდან იხსნიდნენ ყოველგვარ პასუხისმგებლობას მათ მიერ გაცემული ბრძანება-განკარგულებების საბოლოო შედეგების გამო.

ახლა საკითხი შემდეგნაირად დგება: მეცნიერება უშუალოდ ჩაერთვება წარმოების პროცესის მართვის საკითხებში და თავის თავზე აიღებს მთელ პასუხისმგებლობას იმ რეკომენდაციებისათვის, რომლებსაც ის მიაწვდის წარმოებას.

**— როგორ გესახებათ მომავალი მესამე, საერთაშორისო სიმპოზიუმი?**

— იგი გაიმართება ორი წლის შემდეგ, თუმცა მისთვის მზადებას შეიძლება ითქვას აქედანვე ვიწყებთ. უპირველეს ყოვლისა გავაფართოვებთ პრობლემატიკას. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლას. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოში მარკეტინგის თეორიის სწავლება. დღეს რესპუბლიკაში მარკეტინგის სპეციალისტები თითქმის არ გვყავს.

ასევე შესასწავლია ევროპის იმ სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში იწყებენ მუშაობას. ჩვენ მათი შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ.

ერთი სიტყვით საქმეს რა დალევს! ქართველ სწავლულ ეკონომისტებს, (განსაკუთრებით კი მართვის სპეციალისტებს) ზღვა საქმე გვაქვს გასაკეთებელი იმისათვის, რათა მყარად დავაყენოთ ფეხზე ქართული ეროვნული ეკონომიკა, რომელსაც მავანთა და მავანთა ათასგვარი ხრიკებით ლამის სული ამოხადეს.

**ესაუბრა ნიკო ორველაშვილი.**

# ნაწყვეტები „პირადი საქმიდან“



ამას წინათ, თეატრის, მუსიკის და კინოს მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულ საქაღალდეებს ვფურცლავდი. პირად საქმეთა შორის ლაშა თაბუკაშვილის „საქმეც“ გადავშალე. თურმე წელს მას 40 წელი უსრულდება...

რა დრო გასულა. თავისთავად შეიძლება არც იმდენი, მაგრამ ჩვენი თაობისათვის, ჯერ კიდევ გუშინ, სრულიად ყმაწვილებისათვის თუ არა, ახალგაზრდებისათვის მაინც, ნამდვილად ბევრი.

40 წელი-მეთქი გავიფიქრე და უცებ გამახსენდა, სტუდენტობის დროს ჩვენი ჯგუფი კინომსახიობთა თეატრში პრაქტიკას რომ გადიოდა, თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე მაშინ ლაშა თაბუკაშვილი იყო. ერთ დღეს, როცა მისგან ინსტიტუტში წარსადგენად დახასიათებები უნდა აგვეღო, ლაშამ მოულოდნელად შემოგვთავაზა თავად დაგვეწერა ეს დახასიათებები — თითოეულს პერსონალურად საკუთარ თავზე. იმაზე, თუ რამდენად პატიოსნად მოეკიდა თვითოეული შესასრულებელ სამუშაოს. იქნებ მაშინ პირველად დავფიქრდით საკუთარ თავზე და ეს სწორედ მან, ლაშამ გვაიძულა.

ასე გავიცანი ლაშა თაბუკაშვილი, თუმცა როგორც დრამატურგს, ახალგაზრდა დრამატურგს (ეს მაშინ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, სტუდენტებისთვის). მე მას ადრეც ვიცნობდი „ჭრილობით“ — მისი პირველი პიესით. რას ვიფიქრებდი, რომ ის „ჭრილობები“ თურმე მოუშუშებელი ყოფილა და დღეს საქართველოს მძიმე სენად ქცეულა.

ლაშა კიდევ ერთხელ გავიცანი, როცა ერთ უთვისტომოდ დარჩენილ გზააბნეულ ბიჭს გაზაფხული დარაბებს მიღმიდან შემოაგება და თვალი „აუხილა“, ეს ალბათ, უფრო რომანტიკის სულიერი მოთხოვნილება იყო, რომანტიკულობისაგან დაცლილ ჩვენს ურთიერთობებში.

ლაშა, გავიცანი მაშინაც, როცა „დედაჩემის საყვარელი ვალსი“ გამახსენდა. მაშინაც, როცა, ჭეშმარიტებისაკენ სავალ გზებზე თუ ბილიკებზე დაგვაფიქრა, როცა მომთვინიერებლებს მიმინო არ დაანება.

თუ მანამდე ყველა სხვა პიესა ყოფაში არსებულ რეალობას ასახავდა, „მიმინოში“ მან ხათქმელი იგავის ფორმით გვითხრა, გვიამბო როგორ გვაჩვევდნენ ნელა და თანდათანობით სიყალბისადმი შემწყნარებლობას. როგორ ცდილობდნენ ანთებული თვალები არაფრის მთქმელი და მორჩილი მზერით შეეცვალათ. ამ იგავის უჩვეულო სათქმელმა, უფრო სწორად, ამ სათქმელისადმი თავისთავად გაჩენილმა უცნაურმა ინტერესმა, შემდგომ იგივე პიესის სანახავად თელავში იქაური „მიმინოს“ სანახავად წამიყვანა.

„მიმინო“ იმ წლის საუკეთესო პიესად აღიარეს.

ზემოთ „სავალი გზები“ ვახსენე. ამ პიესაში გამოჩნდა ქალი, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციაში მისთვის უჩვეულო თავგანწირულ ნაბიჯს დგამს. გავიდა წლები და სულ ახლახან მომხდარმა საშინელმა ტრაგედიამ, ამგვარი ძალების რეალურად არსებობაში დაგვარწმუნა.

მისი ყოველი პიესიდან აუცილებლად გაგახსენდება თუნდაც ერთი, ძალზე მრავლისმთქმელი დეტალი. იგივე „დარაბებიდან“ ბებიასეული გრძელი თეთრი საქორწინო კაბა, „საყვარელი ვალსიდან“ ძველებურ პატეფონზე მბრუნავი ფირფიტა, „მიმინოდან“ მომთვინიერებლის მათრახი და ასე შემდეგ... ყველას ხომ არ ჩამოვთვლი.



ყველაზე ბოლოს „ტაძარი“ გამოჩნდა, და გამოჩნდა ბოლო წინათგრძნობაც ყველაზე დიდ და ყველაზე სასტიკ დარტყმას ახალგაზრდა თაობა აიღებს თავის თავზე. მერე კი მხარში სიმწრით შეკრული ამოუდგება და ზურგს გაუმაგრებს მამათა თაობა...



ისიც გამახსენდა, ერთხელ არაქართველმა ნაცნობმა რეჟისორმა, რუსეთში დასადგმელად ახალი ქართული პიესა მთხოვა. თაბუკაშვილის პიესა დავუსახელე. როცა პიესისათვის ლაშას მივაკითხე, მან შამანაძის პიესა გამომიტანა, იქნებ ამან უფრო დააინტერესოსო...

ალბათ, ზუსტად ამგვარმა ხასიათმა შეადგენინა ლაშას ალმანახი „სათავე“, რომელშიც თავმოყრილ ავტორებსაც, ჩვენ ალბათ სხვა დროსაც შევხვდებოდით, მაგრამ უფრო გვიან და უფრო გაბნეულად.

და ბოლოს, ესეც ჩემი ვალია რომ ვთქვა, დიდხანს ვიბრძოდით თეატრის, მუსიკისა და კინოს მუზეუმის თანამშრომლები იმ შენობისათვის რომელშიაც დღეს ვიმყოფებით. ამ ბრძოლაში, ერთ-ერთ ეტაპზე, ლაშა თაბუკაშვილი მთელი თავისი არსებით ჩვენს გვერდში იდგა...

საქაღალდე დავხურე. წყობით ჩავალაგე ფურცლები, სცენარები, დოკუმენტები. აქ ისინი მრავლად არის და მომავალში, ალბათ, სულ სხვაგვარი კვლევის საგანიც გახდებიან. ახალი ფურცლები დოკუმენტები და რეცენზიებიც დაემატება ქაღალდების ამ დასტას, სულ მალე მაგალითად, დაემატება პიესა „ტაძარი“ და ამ პიესის დადგმებთან დაკავშირებული მასალები...

ეს ყველაფერი იქნება...

დღეს კი ამ ფრაგმენტული ფიქრებით მინდოდა ლაშას გახსენება. ორმოცს მიტანებული კაცის და ხელოვანის საქმის გახსენება...

**მარინა ხარაძე**

**სურათებზე:** ლაშა თაბუკაშვილი; სცენები ლაშა თაბუკაშვილის პიესების მიხედვით შექმნილი სპექტაკლებიდან.

# სიკეთითა და საქმის სიყვარულით

ადამიანი იწვის სანთელივით, ზოგი ხმაურით ეხლება სივრცეს, ზოგი გარს მოჯარულ ფარვანებს უტუსავს ფრთებს, ზოგი კი ჩუმად, თავისთვის უხმაუროდ იღვენთება...

დღეს კი, ალბათ ყველაზე მეტად უსიტყვო საქმის კეთება, ქართული საქმის კეთება გვჭირდება.

„არა პურითა მარტო ცხონდა ქრისტე...
არა პურითა მარტო...
არამედ საქმით თვისით...
სიყვარულითა თვისით...
სიკეთითა თვისით...

იქნებ სწორედ ამ სიკეთემ და საქმის სიყვარულმა გადააწყვეტინა მთაში წასვლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 1989 წლის კურსდამთავრებულებს: რაულ ასათიანს, ემზარ ირემაძეს, შალვა ნადირაძეს, გიორგი კაპანაძესა და შალვა მეღოიძეს.

მთის პრობლემაზე და მის გასაჭირზე ძალიან ბევრი ლაპარაკობს, ლაპარაკობენ თუ რამ გამოიწვია მისი დაცლა. ამ მიზეზებზე შეჩერება, ალბათ, უკვე ზედმეტიც კი იქნება. უმთავრესი ის არის, რომ დღეს საქართველოს ხსნა სჭირდება, პატრონობა უნდა ბარსაც და მთასაც და კონკრეტული საქმე საჭირო. ასეთი საქმე სწორედ ამ ბიჭებმა ითავეს. მათი ინიციატივით ხევსურეთში დაარსდება კომერციულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

— სამუზეუმო კომპლექსის ძირითად კომპლექსში, რომელიც ღია ცის ქვეშ იქნება წარმოდგენილი, ცოცხლად უნდა მიმდინარეობდეს ხევსურეთისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ყოფის სამეურნეო თუ სხვა საქმიანობათა წარმოდგენა. მაგალითად, როგორიცაა: მატყლის ჩეჩვა, ძაფის დართვა, ხევსურული ფარდაგების ქსოვა, ტანსაცმლის ქარგვა, ნაბდის თელვა, წულების ამოყვანა, ჭედვა, ლუდის ხარშვა და სხვა პროდუქციის რეალიზება მოხდება როგორც ადგილზე, ასე თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რაიონებში — მითხრა ემზარ ირემაძემ. ხალხური მედიცინის შენარჩუნებისა და აღდგენის მიზნით მუზეუმი აღრიცხავს და მატერიალურ დახმარებასაც გაუწევს მათ, ვინც ბალახებითა და ხალხური ტრადიციით მკურნალობს.

როგორც ბიჭებთან საუბრისას გაირკვა, ისინი აპირებენ ხელი შეუწყონ სოფელ ბარისახოში სასტუმრო სადგურის შექმნას, რომელიც მოემსახურება როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე მომთვალიერებლებსა და დამსვენებლებს. მუზეუმს საკუთარი ბეჭდვითი ორგანოც უნდა ჰქონდეს, სადაც სისტემატურად გამოქვეყნდება მუზეუმის მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შედეგები სახალხო მთქმელთა ლექსები, ხალხური მკურნალობის მეთოდები და სხვა.

— მუზეუმმა უნდა აწარმოოს მოსახლეობისაგან პროდუქციის შესყიდვა, ფასების ოდენობა განისაზღვრება მოსახლეობისა და მუზეუმს შორის დადებული ურთიერთხელსაყრელი შეთანხმების საფუძველზე. აუცილებელია ჩვენს მუზეუმს ჰქონდეს შესაძლებლობა ხელშეკრულებები დადოს საზღვარგარეთის შესაბამის დაწესებულებებთან და სხვადასხვა ფირმებთან, შეისყიდოს მათგან პატენტები და აწარმოოს საკუთარი ლიცენზიების გაყიდვა — მითხრა საუბრისას შალვა ნადირაძემ. მუზეუმის ფულადი შემოსავალი ძირითადად დაეყრდნობა მისდამი დაქვემდებარებულ დამხმარე მეურნეობებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით და დუშეთის რაიაღმასკომის უშუალო დახმარებით ამ ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება კონკრეტული ნაბიჯი გადაედგათ ასეთი მეურნეობის მოწყობისათვის. ეს მეურნეობა დაფუძნებული იქნება კოოპერატიულ საწყისებზე, კერძოდ მისი საქმიანობა იქნება მეცხოველეობა-მეთევზეობის პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია. მიღებული შემოსავლის გარკვეული ნაწილი მოხმარდება ხევსურეთში გზების მშენებლობას, საცხოვრებელი ბინების შეკეთებასა და კეთილმოწყობას; დახმარებას გაუწევს მრავალშვილიან ოჯახებსა და იმ პირებს ,რომლებიც დაუბრუნდებიან მამა-პაპისეულ ციხე-კოშკებს.

ამ საქმის განხორციელებაში მხარში ამოგვიდგნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობა და საკავშირო გამგეობა, სიმბოლურად, არენდის სახით, სოფელ დათვისში გამოგვიყვეს 314 ათას მანეთად შეფასებული მატყლის გადამამუშავებელი საწარმოს ყოფილი შენობა. — მითხრა ემზარმა, — არანაკლები გულისხმიერება გამოიჩინეს საქართველოს დიზაინერთა კავშირის, ძეგლთა დაცვის, დავით აღმაშენებლის საზოგადოების, დემოგრაფიული ფონდისა და საქნავთის ხელმძღვანელობამ. დახმარებას შეგვპირდნენ და ჩვენც იმედი გვაქვს რომ არ მიგვატოვებენ, მხარში ამოგვიდგებიან. შემოგვიერთდა რაული, — დღეს, ქართველი კაცის ოცნება ილუზიებიდან რეალობისაკენ მიემართება, საქართველოს ეკონომიკური სიძლიერე კი მისი პოლიტიკური თავისუფლების საწინდარია.

მთასაც და ბარსაც ერთგული, პატიოსანი კაცი სჭირდება. ურიგო არ იქნება, თუ ამ საქმის გადაწყვეტით დაინტერესდებიან სხვებიც და თანადგომას გაუწევენ მონდომებულ ახალგაზრდებს. მე კი ისღა დამრჩა ვუთხრა: — ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და თანამდგომი არ მოგაკლოთ ამ დიდ საქმეში.

**მაია ხეთურიძე**

# დიდუბეში, გამოფენაზე...

გასულ წელს, ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში შემოგთავაზეთ წერილი, — „რევაზ ხოფერიას ჩაი“, სადაც ქართული ჩაის უნიკალური კოლექციის მფლობელზე იყო საუბარი. ამჯერად კი გაუწყებთ, რომ დიდუბეში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიხსნა მისივე, — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის რევაზ ხოფერიას ნამუშევრების გამოფენა. იგი ავტორია ასოცდაათი ნაშრომის, საავტორო მოწმობებით დაცული 40 გამოგონების და 31 რაციონალიზატორული წინადადების, მათგან 19 გამოგონებისა 29 რაციონალიზატორული წინადადების სახალხო მეურნეობაში დანერგვით მიღწეული ეფექტი 35 მილიონ მანეთს შეადგენს. რევაზ ხოფერიას ხელმძღვანელობით შექმნილია ახალი სახის ჩაის პროდუქცია „ენგური“, „სენაკი“, „ეგრისი“. ჩაის მრეწველობაში ფოთლის გადამუშავების ახალი მეთოდების შექმნა საფუძვლად დაედო სხვადასხვა სახის ჩაის წარმოების მაღალმწარმოებლური მექანიზებული ხაზების და ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების შექმნას.

საგამოფენო დარბაზში, საგულდაგულოდ მოწყობილ სტენდებთან, დაინტერესებულ პირებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ჩაის ხვალინდელი დღე, შესაძლებლობა ექნება გაეცნოს ასზე მეტ გამოგონებას. სპეციალისტები უკეთ აღიქვამენ და შეაფასებენ ყოველივეს. ჩვენ კი მხოლოდ ერთს დავამატებთ, რევაზ ხოფერიას მთელი ცხოვრება პროფესიისა და გატაცების ორგანული შერწყმის იშვიათი მაგალითია...

**ნინო მხარგრძელი**

# გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციას

ჩვენ, რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ქირურგები, განყოფილებაში ყოველდღიური მუშაობის და მორიგეობის დროს, განსაკუთრებით, უკანასკნელ ხანებში, ვხვდებით სასწრაფო დახმარების მიზნით მოყვანილ ავადმყოფებს, — ქართველებს, რომლებსაც დაზიანება მიაყენა ქართველმა, გახშირდა ასეთი დაზიანების შემდეგ სიკვდილის შემთხვევები და არაიშვიათია ტრავმის ადგილზევე განვითარებული სიკვდილი მძიმე ტრავმის გამო.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ქართველებს შორის გახშირდა სისხლის ღვრა და სხვა ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ბოროტმოქმედებები. ჩვენ ვუერთდებით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის კოლექტივის მოთხოვნას და მოვითხოვთ აღნიშნული განსაკუთრებული სახის ბოროტმოქმედების ჩამდენი გამოცხადდეს ხალხის მოღალატედ და დაკანონდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

**რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ქირურგები.**

# მეორედ დაბადება





# ბორის პასტერნაკი-100

**სიოცარი** ჰანგებისა და ჰარმონიულ ფერთა სამყაროში აღიზარდა, გამოჩენილ ადამიანთა — მხატვართა, მუსიკოსთა, მწერალთა, ფილოსოფოსთა გარემოცვაში. განგებამ არგუნა ძვირფასი ხვედრი — თავისი მამის, ცნობილი მხატვრის ლეონიდ პასტერნაკის ჰერქვეშ სრულიად პატარას მოესმინა და შეეგრძნო სკრიაბინისა და რახმანინოვის იმპროვიზაციული კონცერტები, ჩაიკოვსკის საფორტეპიანო ტრიო, რომელსაც ლევ ტოლსტოის და მისი სახლობის პატივსაცემად მართავდნენ (1894 წ.) ეს იშვიათი ხვედრი იქცა იმის საწინდრადაც, რომ, როგორც პასტერნაკის შემოქმედების სწავლულნი აღნიშნავენ, იგი პოტენციურ მუსიკოსად, პოტენციურ ფერმწერად და ფილოსოფოსად ჩამოყალიბდა და, სრულიად გასაგებია, რომ მის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ღრმად დააჩნდა მუსიკის, ფერწერის, რუსული და მსოფლიო პოეზიის ზემოქმედების კვალი. ბუნებრივია, რომ იგი ლირიკოსის შესანიშნავ თარგმანებშიც აღიბეჭდა.

უეჭველია, საქართველოსთან, ქართველ პოეტებთან იმ ბედნიერმა შეხვედრებმა განაპირობეს ისიც, რომ ბორის პასტერნაკის მდიდარ პოეტურ შემოქმედებას პოლ ვერლენის, იოჰანეს ბეჰერის, ბაირონის, შექსპირის, ჯონ კიტსის ქმნილებების თარგმანებს გვერდს უმშვენებს ქართველ თანამოკალმეთა — ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძის, სანდრო შანშიაშვილის და სხვათა ლექსების საუკეთესო თარგმანები, რომელიც 1935 წელს გამოსცა „სოვეტსკი პისატელმა“ სახელწოდებით — „ქართველი ლირიკოსები“. ამავე წელს გამოიცა თბილისში პასტერნაკისა და ნ. ტიხონოვის თარგმანების კრებული სათაურით — „საქართველოს პოეტები“.

ქართველ პოეტებთან დიდმა სულიერმა თანაზიარობამ, საქართველოს ბუნების მშვენიერების მძაფრმა შეგრძნებამ დააწერინა რუს პოეტს ლექსების ციკლი — „მეორე დაბადება“, „მოგზაურული ჩანაწერები“, „მხატვარი“. შეუძლებელია, აქ არ გავიხსენოთ თვით პასტერნაკის სიტყვები, ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებით დატყვევებულს რომ დაუწერია:

«...Это не только юг и Кавказ, то есть красота всегда бездонная и везде ошемляющая, и это не только Тициан и Шаншиашвили, Надирадзе и Мицишвили, Гаприндашвиии и Леонидзе, то есть люди замечательные на любой почве и не нуждающиеся в сравнении, чтобы догадаться об их несравнимости...“ და აქვე ვკითხულობთ — ...«Этот город (Тифлис)... для меня тем же, чем были Шопен, Скрябин, Марбург, Венеция и Рилке... Уже этот круг воспоминаний пишет меня, как сказал бы Тициан...» (Б. Пастернак, Избранное, М. 1985, т. II, 456—457).

რაოდენი სიყვარულით და სითბოთი აღსავსე სტრიქონებით გვეხმიანება პოეტის ლექსი „ზაფხულის ჩანაწერებიდან“:

«Из летних записок», Друзьям в Тифлисе» — Не зная ваших строф, но полюбив источник я понимал без слов Ваш будущий подстрочник!.

აქვეა პასტერნაკის კალმით ნაძერწი ტიციან ტაბიძის პორტრეტი და თბილისის ზამთრის პეიზაჟიც:

Он курит подперев Рукою подбородок, Он строг, как барельеф, и чист, как самородок, Рысью разбегались листья, По пятам, как сенбернар, Прыгал ветер в желтом плисе Оголившихся чинар...

ამ მეგობრული და ლიტერატურული ურთიერთობის გაღრმავებასა და განმტკიცებას დიდად შეუწყვეს ხელი ბორის პასტერნაკის ქართველმა მეგობარმა პოეტებმა, რასაც ნათლად მოწმობენ მათი მიმოწერებიც. მათ შორის საინტერესოა გავიხსენოთ ვალერიან გაფრინდაშვილის ერთ-ერთი წერილი ბორის პასტერნაკისადმი:

„ბორის ლეონიდოვიჩ!

ბწკარედები გავაკეთე „გველის მჭამელისათვის“, ჩამოგიტანთ ვიქტორ გოლცევი. არ ვიცი, გავამართლე თუ არა თქვენი ნდობა, მაგრამ ვცდილობდი ძალიან ახლოს ვმდგარიყავი წყაროსთან. თუ რომელიმე ადგილი იქნება თქვენთვის გაუგებარი, გთხოვთ მომწეროთ ამის შესახებ“, რათა შევძლო სათანადო კომენტარი გავაკეთო. ამ პოემის განსაკუთრებული თავისებურება მისი ენაა. ძირითადად, რა თქმა უნდა, ქართულია, მაგრამ წმინდა ხალხური, ფშაური გამოთქმები და სიტყვები. ჩვენს ახლანდელ ლიტერატურულ ლექსიკონში არ გვხვდება. პოემის ავტორი, სხვათა შორის, ყველა ბწკარს არ უკეთებს რითმებს, მხოლოდ მეორეს და მეოთხეს... მანდელშტამმა გადათარგმნა ვაჟას პოემა „გოთურ და აფშინა“ ურითმოდ, რამდენადაც მახსოვს, ბილინების სტილით. პოემა დაიბეჭდა რუსულ ჟურნალში „Восток“.

წერილში ვ. გაფრინდაშვილი საუბრობს „გველის მჭამელისადმი“ თავის და „ცისფერყანწელთა“ შეხედულებებზე და ბ. პასტერნაკის ყურადღებას მიაქცევს რამდენიმე საგულისხმო შენიშვნაზეც:

„მე პირადად „გველის მჭამელი“ მაგონებს თავისი ეპიკური სულით და წყობით „სიმღერას ჰაიავატაზე“...

თავის დროზე გრიგოლ რობაქიძე, აღმომჩენი ვაჟა-ფშაველასი, როგორც შესანიშნავი პოეტისა, ადარებდა პოემა „გველის მჭამელს“ მისი ღრმა შინაარსით გოეთეს „ფაუსტს“. პოემაში არის ადგილი პუშკინის „Пророк“-ის ანალოგიური. ეს შენიშვნები შეიძლება პოემის საიდუმლოების გასაშიფრად გამოგადგეთ. არის წიგნი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე ხახანაშვილისა... ჩემის ღრმა რწმენით და ჩემი ცისფერყანწელი მეგობრების აზრით საქართველოს ჰყავს ორი დიდებული პოეტი — რუსთაველი და ვაჟა. პოემის ცალკეული ადგილების ამოხსნაში თქვენ დაგეხმარებათ პაოლო იაშვილი, ვნებიანი თაყვანისმცემელი ვაჟასი, რომელმაც დაწერა მასზე კრიტიკული სტატია. ტიციანმა დაწერა მასზე და არის მცოდნე ვაჟასი.

თვენახევარში მიპირებენ გამოგზავნას მოსკოვში პოეტებთან კონსულტანტად“.

როგორც ცნობილია, ვალერიან გაფრინდაშვილი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციას, ამავე დროს იყო გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ლიტერატურის განყოფილების გამგე. მას, როგორც რუსული ენის ბრწყინვალე მცოდნეს, ნატიფი გემოვნებისა და ფრიად ერუდირებულ მთარგმნელს, დიდ ანგარიშს უწევდნენ როგორც ქართველი, ასევე რუსი მეგობარი პოეტები, რასაც მოწმობს მის არქივში დაცული არაერთი წერილი. მკითხველისათვის უთუოდ საინტერესო იქნება ვალერიან გაფრინდაშვილის გამოხმაურება ბორის პასტერნაკის თარგმანებზე „გველის მჭამელი“, „ქართველი ლირიკოსები“, აგრეთვე ბ. პასტერნაკისა და ნ. ტიხონოვის წიგნზე „საქართველოს პოეტები“.

პოემა „გველის მჭამელის“ გამო ვ. გაფრინდაშვილი წერს:

„... ამ პოემაში პასტერნაკმა გვიჩვენა იშვიათი ოსტატობა ეპიკური თხრობისა. „გველის მჭამელმა“ გაიბრწყინა რუსული ენის მთელი მომხიბვლელობით... შეიძლება სისტემატური დამთხვევა არ მოხდეს ვაჟასა და პასტერნაკს შორის — ლირიკოსისა და ეპიკოსისა... პასტერნაკი განერიდა ტრაფარეტს, ყოველ ბწკარს ის წერს თავისებურად... თარგმანი „გველის მჭამელისა“ ღრმად ორიგინალურია, მუსიკალური. ეს მუსიკა შექმნილია პასტერნაკის მიერ და ეს მუსიკა კიდევ უფრო გვიმტკიცებს ჩვენ, რა დიდებული პოეტი გვყავს ვაჟას სახით. პასტერნაკმა შეასრულა თარგმანი „გველის მჭამელის“, როგორც მხატვარმა, რომელშიც გამოავლინა თავისთავისადმი უზარმაზარი მომთხოვნელობა. მას არ დაუმდაბლებია თავისი სტილი, თავისი ღირსება და მოგვცა ისეთი თარგმანი, რომლითაც ჩვენ მუდამ ვიამაყებთ და მივიჩნევთ მას ვაჟას მომავალ მთარგმნელად... როცა დაიბეჭდა თარგმანის პირველი ნაწილი, განსაკუთრებული მღელვარებით წავიკითხეთ. პირველი გრძნობა, რომელმაც შეგვძრა ჩვენ, ქართველი მკითხველები, იყო გრძნობა მადლიერებისა რუსი პოეტისადმი, რომ თავის ენაზე ააჟღერა ეს საუკეთესო შედევრი ქართული პოეზიისა. შეიძლება ითქვას, რომ პასტერნაკმა ამ თარგმანში გააფართოვა თავისი დიაპაზონი და მისი ხმა ენათესავება ეპიკურ მუზას. მე მგონია, რომ პასტერნაკის თარგმანში არის რაღაც უჩვეულო, მომხიბლავი... ნიბელუნგებისებური...“

ასეთივე დიდი სიხარული მოუტანა ქართველ პოეტებს ბორის პასტერნაკმა მათი ბრწყინვალე ლექსების რუსულ ენაზე აჟღერებით. „მე მახსოვს ის სიხარული, — წერს ვ. გაფრინდაშვილი, — რომელიც ჩვენ, ქართველმა მწერლებმა განვიცადეთ, როცა პასტერნაკისა და ტიხონოვის თარგმანები დაიბეჭდა რუსულ ჟურნალებსა და გაზეთებში, ჩვენ თითქოს განვიცადეთ მეორე დაბადება... თარგმანი ყოველთვის არის პოეტისათვის თავისებური გამოცდა, რომელიც შეიძლება დღესასწაულით ან ჩავარდნით დამთავრდეს...“ ბორის პასტერნაკის ბრწყინვალე გამარჯვებაზე აღტაცებით გვესაუბრება ვალერიან გაფრინდაშვილი:

„მე მგონი თარგმანში შეიძლება გამოყენება ძველი რითმებისა, მაგრამ პასტერნაკი თარგმანებშიც იძლევა ორიგინალურ, მოულოდნელ რითმებს, გაურბის ბანალურ ეპითეტებს. მისი თარგმანები გამოიცა ცალკე წიგნად („ქართველი ლირიკოსები“). პერიოდულ გამოცემებშიც დაიბეჭდა, მაგრამ მის წიგნში თარგმანების გადაკითხვისას შევნიშნე ცვლილებები. მაძიებელი ხელოვანი უბრუნდება მზა მასალას და აღწევს კიდეც სრულყოფილებას და მეტ დამაჯერებლობას. პასტერნაკის სახით რუსული პოეზია საქართველოს უბრუნებს იმას, რაც მისცა მისმა ბუნებამ თავისი განძეულიდან პუშკინს და ლერმონტოვს...“ აქვეა პოეტის ხაზგასმა იმ მხრივ, რომ პასტერნაკი ქართულ პოეზიას დაუახლოვდა ლერმონტოვის შემდეგ, ქართველ პოეტებთან დამეგობრების გზით.

„პასტერნაკის თარგმანები ჟღერენ, როგორც რუსული ლექსები, რომლებიც ინახავენ დედნის სურნელებას... გასაოცარია, რომ მისი თარგმანი ჟღერს როგორც თავისთავადი ლექსი, მაგრამ აქედან ის არ მინდა ვთქვა, რომ პასტერნაკის თარგმანები არ უკავშირდება ორიგინალს. მთელი რიგი ლექსებისა როცა შევადარე ქართულ ტექსტს, დავრწმუნდი მის სიახლოვეში ორიგინალთან“. აქვე სანიმუშოდ მოჰყავს თავისი ლექსის („საოპერო თეატრის ქანდარიდან“) თარგმანიც. მკითხველს შევთავაზებთ ერთ სტროფს თარგმანითურთ:

**მე ქანდარიდან დავყურებ სცენას,**
**ვით თუთიყუში, რგოლზე მთვლემარე,**
**ცეცხლი ედება ჩემს დამწვარ სმენას,**
**უვერტიურის ამოდის მთვარე.**

Смотрю на сцену свесясь.
Как попугай в окне
Вступленья всходит месяц.
Горю: мой слух в огне.

„საკმარისია ამ ბწკარედების შედარება პასტერნაკის თარგმანთან, რომ დავრწმუნდეთ, რამდენად კეთილსინდისიერია პასტერნაკი. ცხადია, როგორც დიდ პოეტს, მას შეაქვს თავისი ბეჭედი, ნიუანსები ლექსში, მაგრამ ქმნის და არ აკეთებს... განსაკუთრებულობა პასტერნაკის თარგმანისა ის არის, რომ მას ძირითადი ნიუანსები შეაქვს ლექსში სახეუცვლელად... არ ისახავს მიზნად უსათუოდ ორიგინალის ასლი მოგვცეს. ის წერს არა ასლს, არამედ ორიგინალის პორტრეტს, რომელშიც მსგავსება ასრულებს ძალიან დიდ როლს. თქვენ უყურებთ თქვენს ორეულს და იცდებით თქვენი ხილვებით... ცხადია, თქვენ სამოსელი სხვა გაცვიათ, უცხოა ენა, უცხოა მუსიკა ლექსისა, მაგრამ მადლიერი ხართ ჯადოქრისა, რომელმაც შეგიყვანათ თქვენ სხვაგვარად მორთული მრავალფეროვან, საოცარ სამყაროში რუსული პოეზიისა. ეს ჯადოქარი — პასტერნაკია. ის ჩვენი ვირგილიუსია. ვირგილიუსი ქართველი პოეტებისა...“

ვალერიან გაფრინდაშვილის არქივში დაცულ ავტოგრაფს, ბორის პასტერნაკის მიერ ნაჩუქარ წიგნს ახლავს ასეთი წარწერა:

«Валериану Ивановичу Гаприндашвили с нежностью и большим желанием узнать его поближе. Б. Пастернак. Коджори. 16. VIII. 31».

თავის მხრივ პოეტმა 1936 წელს რუს მეგობარს უძღვნა სონეტი რუსულ ენაზე: „Ты мастер и поэт“.

ინტერესმოკლებული არ იქნება ვ. გაფრინდაშვილის ახლო ნათესავის მარიამ ჭავჭავაძე — ტორაძის მოგონების ფურცელიც:

„ვალერიანი ძალიან დაუახლოვდა პასტერნაკს 30-იან წლებში, როდესაც პასტერნაკი თბილისში ჩამოდიოდა და მუშაობდა ქართველი პოეტების თარგმანებზე. პასტერნაკის კალამს ეკუთვნის სხვა ლექსებთან ერთად მისი ორი პოეტური შედევრის — „ქუთაისი ქარში“ და „ზღვა“ ვირტუოზული თარგმანები. ვფიქრობ, სამართლიანია ვ. ეტკინდის სიტყვები: ვალერიან გაფრინდაშვილმა უფრო მიიზიდა პასტერნაკი, ვიდრე თვით მისთვის დიდად საყვარელმა ტიციან ტაბიძემ და პაოლო იაშვილმა, მას ახასიათებდა თვისებები, რომლებიც ახლო ენათესავებოდა რუს პოეტს“.

როგორც კოლაუ ნადირაძე იგონებს, თავის მხრივ, ბორის პასტერნაკი უდიდეს შეფასებას აძლევდა ვალერიან გაფრინდაშვილის პოეტურ ნიჭს. „მაგონდება — ამბობს იგი, — როგორი აღტაცებით მესაუბრებოდა ბორის პასტერნაკი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „საყურეს“ ვალერიან გაფრინდაშვილისეულ თარგმანზე. განცვიფრებული ვარ, ვერ წარმომიდგენია კიდევ ვინმემ თარგმნოს ეს ლექსი ასეთი გემოვნებით, აჩვენოს თარგმანში ასეთი სიღრმე და ძალა ამ უმშვენიერესი ლექსისა“.

კიდევ ერთ საინტერესო მოგონებას შემოგთავაზებთ. აი, რას წერს ტიციან ტაბიძის მეუღლე, ქალბატონი ნინა:

... „ჩემი ტრაგედიის შემდეგ, 1937 წელს, როცა მარტოდ დავრჩი, მეჩვიდმეტე დღეს ბორისისაგან დეპეშა მოვიდა: „მე გული ამომკვეთეს, ვერ ვიცოცხლებდი, მაგრამ ახლა ორ ოჯახზე უნდა ვიზრუნო: ზინასა და ლიონიაზე და თქვენსა და ნიტაზე.

მას არ უღალატია თავისი სიტყვისათვის. ჩემთვის უმძიმეს წლებში, თვით ტიციანის რეაბილიტაციამდე, ჩვენ არ მოგვკლებია მისი მორალური და ნივთიერი დახმარება. ყოველ ზაფხულს პასტერნაკებთან ვატარებდით. ალბათ, იმ დროს ბორისისა და ზინას ბადალი და-ძმაც კი ცოტა მოიძებნებოდა, ასე უშიშრად და ასეთი სიყვარულით რომ ეზრუნათ თავის მოყვასზე“...

სამი ათეული წელი აშორებს ბ. პასტერნაკის ქართველ პოეტებთან, საქართველოსთან შეხვედრის იმ პირველ მღელვარე დღეებს, მაგრამ დღესაც არ შენელებულა იმ სტრიქონების მთრთოლვარება, ქართველ მეგობრებს რომ მიუძღვნა დიდმა პოეტმა:

«В те дни вы были всем, что я любил и видел».

ციური ხეთერელი

ფურცლები ჩვენი ისტორიის

# მირიანი

**ძნელი** სათქმელია, კაცობრიობის ისტორიაში ეპოქები ქმნიან დიდ პიროვნებებს თუ პიროვნებები ქმნიან დიდ ეპოქებს. მაგრამ, ის კი ცხადია, რომ სახელმწიფოთა და ერთა ცხოვრებაში არსებობს ისეთი ბედნიერი ფურცლები, როცა ისტორიული ეპოქა და პიროვნება •უცნაურად ერწყმიან ერთმანეთს. სწორედ ასეთ ბედნიერ ხანად უნდა ჩაითვალოს III საუკუნის დასასრულისა და IV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველო, როცა ქართლის სამეფო ტახტზე მეფე მირიანი ზის (261-342 წწ). ხსენებული ხანა უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და, უპირველეს ყოვლისა კი, სულიერი ძვრების ეპოქაა, არა მარტო საქართველოში, არამედ ცივილიზებული სამყაროს იმ ნაწილში, რომელთანაც საქართველოს უშუალო დამოკიდებულება ჰქონდა, ირანულ აღმოსავლეთსა და ბერძნულ-რომაულ დასავლეთში.

თუ მეფე მირიანის, ამ დიდი პოლიტიკური და კულტურული მოღვაწის პიროვნებაში ერთი უმთავრესი ნიშნის გამოყოფას შევეცდებით, ეს უთუოდ იქნება მისი ნოვატორული ბუნება. ახალი აზრის, ახალი ნაკადის შეთვისების უნარი მირიანის ის პიროვნული თვისებებია, რომლებიც უცნაურად უპასუხებდა დროის მოთხოვნას და საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ საჭიროებებს იმხანად.

როგორც დიდი კულტურული რეფორმატორი — ასე გამოარჩია მეფე მირიანი „ქართლის ცხოვრებამ“ სხვა ქართველ მეფეთაგან. აი, რას ამბობს „მირიანის ცხოვრების“ ავტორი მის მოღვაწეობაზე საზოგადოდ:

„ხოლო შეიყუარა ქართველნი,
და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავლა ენა ქართული,
და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი,
და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა,
და შეამკო საფლავი ფარნავაზისი.
ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათვის ქმნა.
და კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა,
და შეიყუარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა“.

მირიანის ხსენებულ რეფორმათა შინაარსს უკეთ რომ ჩავწვდეთ, ჯერ იმ ცნებათა მნიშვნელობის გაცნობიერება გვმართებს, რომელთაც „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე იყენებს ამა თუ იმ მეფის დასახასიათებლად.

ძველი ქართული მატიანე „ცხოვრება მეფეთა“ ქართული სახელმწიფოს სამეფო გვარის მატიანეა და იგი ქართლის სამეფოს მამამთავრის — ფარნავაზის „ცხოვრებით“ იწყება. „მეფეთა ცხოვრებაში“ სხვა მეფეთაგან აშკარად გამოიკვეთება უფრო განზოგადებული და გაიდეალებული სახე ფარნავაზ მეფისა, შეიძლება ითქვას, ქართველი მეფის არქეტიპული ხატი (პირველსახე).

„მეფეთა ცხოვრებაში“ ფარნავაზი ეროვნული სახელმწიფოებრიობის განსახიერებაა და ამიტომ მის მომდევნო მეფეთა წარმომავლობისა თუ საქმიანობის ავკარგიანობას მათი ფარნავაზიანობა ანუ ფარნავაზის ნათესაობა და საქმეში მასთან წილნაყარობა განსაზღვრავს.

ფარნავაზიდან მირიანამდე არცერთ მეფეს ისეთი დიდი ზომის „ცხოვრება“ არ ეთმობა, და შესაბამისად არცერთ მეფეს ისეთი მნიშვნელობა არ ენიჭება, როგორიც მირიანს. გარდა ამისა, მირიანის სახით არა ახალი, ქრისტიანი მეფის ტიპია დახატული, არამედ ის (მირიანი) ფარნავაზის მეფობის არქეტიპული ცნებებითაა გააზრებული. „მირიანის ცხოვრება“ ამ მეფის დიდ უპირატესობასა და ღირსებას სწორედ ფარნავაზის საქმიანობის აღორძინებაში ხედავს.

რაში გამოიხატება ეს საქმიანობა? ეს არის: 1. ქართული ენის „სიყვარული“; 2. კერპების აღდგენა და კერპთმსახურების განსაკუთრებული სიძლიერით აღსრულება; 3. ფარნავაზის საფლავის შემკობა, მაშასადამე, ფარნავაზის სახელის განდიდება, მის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება და აღორძინება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

კერპების მსახურებას, როგორც სახელმწიფო რელიგიას, ეროვნული თვითმყოფადობის დამკვიდრების ფუნქცია ჰქონდა. შემთხვევითი არ არის, რომ ისტორიული ტრადიცია ქართული სახელმწიფოს მფარველი მთავარი კერპის არმაზის აღმართვას ფარნავაზის სახელს უკავშირებს. არმაზის გვერდით (მარჯვნივ და მარცხნივ) მდგარი კერპები კი ქართულ წყაროებში იხსენებიან როგორც „ძველნი ღმერთნი მამათა ჩვენთანი გაცი და გა“, „კერპნი სამეფონი“, „რომელნი — იგი ღმრთად ჰქონდეს მამათა ჩუენთა არიან ქართლით“.

„ქართლის ცხოვრებაში“ არმაზისა და სხვა კერპთა მსახურება მკვეთრად არის გამიჯნული ცეცხლთაყვანისმცემლობისაგან ანუ მაზდეიანობისაგან, როგორც არაეროვნული, სპარსული წარმომავლობის რელიგიისაგან. ნათქვამის ნათელსაყოფად ერთ მაგალითს მოვიყვან: ფარნაჯომის (ძვ წ. II საუკ. I ნახ.) წინააღმდეგ ქართველ ერისთავთა შეთქმულება ასეა ახსნილი „ქართლის ცხოვრებაში“: ამისა შემდგომად (ფარნაჯომმა) შეიყუარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანა სპარსეთით ცეცხლის მსახურნი და მოგუნი და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვიან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობა კერპთა. ამისთვის მოიძულეს იგი მკვიდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ“. კერპების გმობა ერის ღალატს უტოლდებოდა, ამიტომაც მირიანი, რომელმაც „ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა“ და „კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი“, „უმეტეს ყოველთა მეფეთასა“ შეიყვარეს ქართველთა.

მართალია ტრადიცია მირიანს უცხოურ წარმომავლობას მიაწერს (მას სპარსეთის მეფის წულად თვლის), მაგრამ „ფარნავაზის საფლავის შემკობა“, უთუოდ მირიანის ფარნავაზიანთა კუთვნილებას თუ არა, მათთვის დიდი პატივის მიგებას გულისხმობს. და ესეც ხაზს უსვამს მირიანის ეროვნულ პოზიციას, რადგან „ქართველთა დიდი სათნოება აქუნდა ფარნავაზიანთა მიმართ და არა უნდა სხვისა ნათესავისა მეფობა, რომელსაც არა შესდგმიდა ფარნავაზიანობა“. მაშასადამე ქართველნი, რომელთაც „დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ“ და „დიდი სათნოება ფარნავაზიანთა მიმართ“, მირიანმა „კეთილად იპყრნა ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა“.

მირიანმა ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის აღორძინებისათვის კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა — „დაივიწყა ენა სპარსული და ისწავლა ენა ქართული“. მირიანის ეს აქციაც ფარნავაზის არქეტიპული საქმიანობის აღორძინებაა. ის უშუალოდ უნდა დავუკავშიროთ „ფარნავაზის ცხოვრებაში“ ნათქვამ სიტყვებს: „ამან ფარნავაზ განავრცო ენა ქართლისა და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა, თვინიერ ქართულისა და ამან, ფარნავაზ, შექმნა მწიგნობრობა ქართული“. ძალზე საინტერესო ფაქტია, რომ „ქართლის ცხოვრება“ ქართული ენის და მასთან ერთად მწიგნობრობის სახელმწიფოებრივი სტატუსის აღორძინებას მირიან მეფის სახელს უკავშირებს და, რაც მთავარია, ამას ქრისტიანობის მიღებამდე განხორციელებულ აქტად თვლის.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მირიან მეფე სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გვევლინება როგორც დიდი ნოვატორი და აქტიური მოღვაწე. მისი აქტივობა კი ეროვნული თვითმყოფადობის აღდგენისა და გაძლიერების საქმეს ემსახურება. გარდა სამხედრო და პოლიტიკური აქციებისა (რომელთაც იგი დიდი წარმატებით ართმევდა თავს), მისი საქმიანობა სულიერებისა და კულტურის სფეროზე ვრცელდება ყველაზე ძლიერად. მირიანი აღვივებს ეროვნულ რელიგიას, თავისთან იხმობს ამ რელიგიის, განათლებისა და მეცნიერების მესვეურებს — ქურუმებს. ყოველივე ამას კი ქართული ენისათვის სახელმწიფოებრიობის მინიჭებით იწყებს.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობები მირიანის მიერ კერპების აღდგენის შესახებ წმინდა ნინოს „ცხოვრების“ მიხედვითაც მოწმდება. თხზულების დასაწყისში, როცა მირიანის წარმართულ მოღვაწეობაზეა საუბარი (და ეს მოღვაწეობა ქრისტიანი ავტორის მიერ უკვე უარყოფითი დამოკიდებულებით არის გადმოცემული), ის არაჩვეულებრივი სიძლიერის მქონე ფიგურად ჩანს: არმაზის დღესასწაულზე, როცა ხალხი მცხეთის ქუჩებში იყო გამოფენილი, უეცრად სამეფო ბუკის ხმა გაისმა, რაც მეფის გამოსვლას მოასწავებდა. ხალხმა შიშით იწყო „სივლტოლაჲ“ (გაქცევა) და „მიდამომალვაჲ“ (დამალვა). მეფის გარეგნული სახე კი ასეა გადმოცემული: მეფე გამოვიდაო „თვალთშეუდგამითა ხილვითა“. თვალთშეუდგამი მისი სადღესასწაულო სამოსის ბრწყინვალებასთან ერთად, მეფის ხელისუფლების ძალით ჩანერგილი ხატიც იქნებოდა.

რა ისტორიული საფუძველი ჰქონდა მირიანის აქ გამოთქმულ გამოკვეთილ ეროვნულ პოლიტიკას? მესამე საუკუნის დასასრული სასანიდური ირანისა და რომის იმპერიის პოლიტიკური დაპირისპირებისა და რომის აღმოსავლეთის პროვინციებისათვის ბრძოლის ხანაა. ამ ბრძოლაში საქართველოს სამეფო ირანის პოლიტიკური ინტერესების მხარეს იცავს. 298 წელს კი ირან-ბიზანტიის ე. წ. ნიზიბინის ზავის თანახმად საქართველო ირანის მორჩილებიდან აღწევს თავს და რომის იმპერიის ნომინალური მფარველობის ქვეშ ექცევა. იმავდროულად, სომხეთში იცვლება ხელისუფლება და სამეფო ტახტზე ირანელთა მიერ ქვეყნიდან გაძევებული და რომს თავშეფარებული თრდატი ჯდება. საქართველოში ხელისუფლება არ გამოცვლილა. ქართული წყაროები ამ დროისათვის მხოლოდ ქართველი მეფის მირიანის პოლიტიკური და კულტურული ინტერესების ცვლილებაზე ლაპარაკობენ. რომის ხელისუფლება რომ საქართველოსთვის იმ მომენტში მხოლოდ ეროვნული თვითმყოფადობის აღორძინებას ნიშნავდა, ეს მირიანის რეფორმებიდანაც კარგად ჩანს.

ახალი ეტაპი მირიანის მოღვაწეობისა არის საქართველოში ქრისტიანობის აღიარების, ქართველთა მონათვლის, ქართული ეკლესიის კურთხევისა და სამონასტრო მშენებლობის დაწყების ხანა. მას მერე რაც მირიანმა ქრისტიანობა აღიარა (318 წ.), გასაკვირველი ენერგიით ჩაება ახალი რელიგიის დამკვიდრების საქმეში და ახალი ტიპის ქართული კულტურის საფუძვლის ჩაყრას შეუდგა. გაქრისტიანების შემდგომი საქმიანობა მეფისა თვალსაჩინოს ხდის, რომ მირიანს, ისევე როგორც უწინ, ახლაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ერის სულიერი აღორძინების იდეა, მისი თვითმყოფადობის დასამკვიდრებლად კულტურის უპირატესი როლი.

წმინდა ნინოს ღვაწლი ქართლის გაქრისტიანებაში ფასდაუდებელია. თვით ქართლის მეფეს ნინომ არწმუნა ქრისტე ღმერთი. რწმუნების შემდეგ კი განმანათლებელი ქალის გვერდით მტკიცედ დადგა ძლიერი ხელისუფალი და მასთან ერთად ჩაუყარა საფუძველი იმ ქრისტიანულ ცენტრებს, რომლებიც დღესაც ქრისტიანული საქართველოს საფუძველთა საფუძველია. მირიანის ძალისხმევით ხორცი შეესხა, ცხადი დიდება მიენიჭა იმ ადგილებს, რომლებიც წმინდა ნინოს სულიერი ღვაწლით იყო განათლული. ასე შეიქმნა დღევანდელი ქრისტიანული საქართველოს შუაგულის — სვეტიცხოვლის პირველი ტაძარი, აშენდა სამთავარეპისკოპოსო ტაძარი მცხეთის გარეუბანში ნინოს მაყვლოვანის ადგილას. დღესაც აქ მცხეთის „სამთავროს“ ტაძარი დგას. აღიმართა ჯვრები იმ ადგილებზე, სადაც შემდგომ მომავალმა თაობებმა ეკლესიები აღმართა. ერთ-ერთი მათგანი დღევანდელი „ჯვრის“ ტაძარია.

მირიანი სასწაულებრივად გაქრისტიანდა, როცა მას თხოთის მთაზე ნადირობისას მზე დაუბნელდა. ეს ამბავი „ნინოს ცხოვრებაშია“ აღწერილი. ასეთი სახით შეითვისეს ის ისტორიკოსებმა ბიზანტიასა და სომხეთში. ასევე შევიდა იგი ქართულ საისტორიო მწერლობაში. მირიანის პიროვნებასთან მის სასწაულებრივ გაქრისტიანებას შესაძლოა, უშუალო კავშირი არა აქვს, მაგრამ, ეს სასწაული განუყოფლად შეერწყა პირველი ქრისტიანი მეფის სახეს და მისი, როგორც ესთეტიკური ფენომენის, განმსაზღვრელი გახდა. მირიანის მიერ მზის ხილვა უნებურად მისი შორეული წინაპრის ფარნავაზის სიზმარს გვაგონებს, როცა ფარნავაზმა იხილა მზე „ქვე მდაბლად“ გარდმოსული; მაგრამ ის მზე, რომელიც მირიანმა იხილა, სულ სხვა შინაარსით იყო დატვირთული. თავად მირიანი წერს: „და შუვა ღამე მეჩვენა მე მზეჲ ბრწყინვალეჲ ქრისტე ღმერთი ჩვენი“.

დიდმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ ეფრემ მცირემ მირიანის მოქცევა პავლე მოციქულის მიერ ღვთიური ნათლის ხილვას დაუკავშირა და ამით მირიანი ქრისტიანული ეკლესიის უდიდეს ფუძემდებელს პავლეს, წარმართთა მოციქულს შეადარა.

მირიან მეფის მოღვაწეობას, როგორც პოლიტიკურ, ისე იდეოლოგიურ სფეროში ძალზე ბევრი საინტერესო მხარე გააჩნია. მაგრამ, რადგან თავიდანვე ამ მეფის მოღვაწეობის კულტურული ასპექტით დავინტერესდით, არ შეიძლება საგანგებოდ არ ვისაუბროთ იმ მაღალპოეტური თხზულების შესახებ, რომლის ზედწარწერიდანაც ვიგებთ, რომ ის თავად მირიანის ხელიდან არის გამოსული: „წიგნი, რომელი დაწერა მირიან მეფემან ქართლისამან ჟამთსა სიკვდილისა მისისასა“. ასეთი სათაური აქვს თხზულებას, რომელშიც თხემით ტერფამდე ქრისტიანული აზროვნებითა და სულისკვეთებით გამსჭვალული მონანიე მეფის სახე წარმოგვიდგება.

„წიგნის“ ერთ-ერთი მიზანი ქართლის მოქცევაში მეფის ღვაწლის წარმოჩენა იყო. ამიტომ აქ ხშირად ისმის ასეთი სიტყვები: „და აღვაშენე ეკლესია“, „და მოვჰკვეთე მე ხეჲ და შევქმენ მისგან სამნი ჯუარნი“, „და აღვაშენე მის ზედა ეკლესია და განვადიდე ფრიად“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორს ისეთი მოკრძალებითა და თავმდაბლობით აქვს ეს ყოველივე გადმოცემული, რომ „მირიანის წიგნი“ აღსარებას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე საკუთარი ნამოქმედარის ქება-დიდებას. მირიანის მოკრძალებული ტონი მჟღავნდება იქ, სადაც მირიანი თავის დამოკიდებულებას ავლენს „ძელი ცხოველის“ მიმართ და წერს: „ვერ ვიკადრე (ანუ გავბედე) წინაშე მისსა აღმოკუეთად მიწაჲ, სამარედ ჩემდა, რაჲთამცა მეშინოდა მისგან ცოდვისა ოდენ მოქმედსა“. მირიან მეფეს თავისი მოღვაწეობა ოდენ ცოდვის მოქმედებად მიუჩნევია და ამის გამო ვერ გაუბედნია ამ სიწმინდესთან მიახლოვება და თავისი სამარე „ზემო“ (სამთავროს) ეკლესიაში მოუმზადებია. აქ ყურადღებას იქცევს ნაწილაკი „ოდენ“ — მხოლოდ ცოდვის მოქმედი ვარო, ამბობს მეფე, და ეს მხოლოდ თავის დამდაბლების ქრისტიანული ეთიკის გამოვლინება როდია!

მირიანი იმ ადამიანთა რიცხვს არ მიეკუთვნება, რომლებიც მხოლოდ თავისი, თუნდაც უაღრესად კეთილშობილური საქმეებით არიან დაინტერესებულნი. მას მტკივნეულად აწუხებს ქვეყნის, ქრისტიანული სარწმუნოების და მის მიერ დაწყებული სამონასტრო-საეკლესიო მშენებლობის მომავალი ბედი. ჩვენამდე მოღწეულია „ანდერძი მირიან მეფისა ძისა თვისისა მიმართ რევისა და ცოლისა თვისისა ნანაჲსა“.

მირიანი ნანა დედოფალს სამეფო განძის ორად გაყოფას უბარებს და მისი ერთი ნაწილით წმინდა ნინოს სამარხ ადგილას ეკლესიის აგებას ითხოვს, „რაჲთა არა შეირყიოს უკუნისამდე ადგილი იგი, რამეთუ არა მეფეთა საჯდომი ადგილი არს იგი“. ამით არ დაკმაყოფილდა მეფე და მთავარეპისკოპოსს „შეჰვედრა“ „დადვას დიდებაჲ მის ადგილისაჲ, რამეთუ ღირს არს პატივის ცემისა“.

თავის ძეს რევს და მასთან ერთად ქართლის მომავალ მეფეებს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მტკიცედ დგომა უანდერძა: „აჰა ესერა შეიცვალა ბნელი ჩუენი ნათლად და სიკუდილი ჩუენი ცხოვრებად. აწ სადაცა ჰპოვნე ქუეყანასა შინა შენსა იგი ქართლისანი მაცდურნი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ და ნაცარი მათი შეასუ მათ, ვინც მათ ეგლოვდის. და ესე ამცენ შვილთა შენთა, რამეთუ მე ვიცი იგი, მსწრაფლ კავკასიათა შინა ვერ დაილევიან“.



**ლელა პატარიძე**

# მიტინგი მოსკოვში

## ანუ თებერვალი—ზამთრის ბოლო შანსი...



მოსკოველთათვისაც თებერვალი ზამთრის ჩვეულებრივი თვეა, მაგრამ 1990 წლის თებერვალი განსაკუთრებული პოლიტიკური თუ სოციალური აქტივობით გამოირჩევა...

მოსკოვში ამას წინათ გამართული მიტინგის მონაწილეებმა გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკთან მოიყარეს თავი. მიდიოდა ხალხი ლოზუნგებითა და პლაკატებით, ტრანსპარანტებით და მოწოდებებით... აქ იყვნენ მოსკოვის საზოგადოებრიობისა და არაფორმალურ გაერთიანებათა წარმომადგენლები.



12 საათისთვის დემონსტრანტების მრავალათასიანი არმია კულტურისა და დასვენების პარკიდან „სადოვოე კოლცოს" გავლით, ქალაქის ცენტრისაკენ დაიძრა. მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა მილიცია. მოსკოვის ამომრჩეველთა გაერთიანების მოწინავე კოლონას, კომპარტიის დემოკრატიული პლატფორმის წარმომადგენლები მიუძღვებიან. დემონსტრანტებს მოაქვთ სხვადასხვა შინაარსის ლოზუნგები: „პამიატი-დემოკრატიის მტერია, ეს ნიშნავს, რუსი ხალხისაც". „ხალხნო! იყავით ყურადღებით!" „დარბევას — არა!" „ხალხი და არმია — ერთადაა", „საბჭოები რეაქციონერებისა და შოვინისტების გარეშე" და ბევრი სხვა.

14 საათზე დემონსტრანტებმა განვლეს გორკის ქუჩა და სასტუმრო „მოსკოვის" წინ ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მოედანზე შეიკრიბნენ. სანახაობა მართლაც, რომ იშვიათი და შთამბეჭდავი იყო. უნიკალური იმითაც, რომ მოსკოველებს ამდენი ხალხი ამ ადგილას მხოლოდ ტრადიციული დემონსტრაციების დროს თუ უნახავთ. ახლა ისინი ჩვეულ კალაპოტს როდი მიყვებიან, მორევის მსგავსად ირევიან და შფოთავენ. მათი რიცხვი დაახლოებით 200 ათასს აღწევს.






მიტინგზე გამოვიდნენ ბორის ელცინი, ვიტალი კოროტიჩი, იური აფანასიევი, ევგენი ევტუშენკო, ტიგრან გდლიანი და სხვადასხვა საზოგადოებრივი მოძრაობების წარმომადგენლები. აღინიშნა, რომ სამწუხაროდ კონსერვატორულ ძალებს კვლავ აქვთ იმედი შეინარჩუნონ მათთვის ხელსაყრელი შეძლება და გავლენა საზოგადოებაზე. გარდაქმნის დამუხრუჭება, შესაძლოა გაჩერებაც კი განპირობებულია ქვეყნის ხელმძღვანელობის გაუბედაობაზე რადიკალური რეფორმების გასატარებლად და დემოკრატიული ძალების შემჭიდროების სისუსტით.

თებერვლის ეს ნათელი დღე, ყინულის გალღვობას ჰგავდა, რადგან მრავალსაათიან და მრავალათასიან მიტინგს უსასრულოდ უერთდებოდა დემონსტრანტთა ახალ-ახალი კოლონები. ტრანსპარანტებში მოკავშირე რესპუბლიკების დროშებიც გაერია და რაოდენ სასიხარულო იყო, რომ **მათ შორის საქართველოს ეროვნული დროშაც აფრიალდა. დროშასთან იდგნენ მოსკოვში მცხოვრები ქართველები, რომლებიც მოსკოვის ქართული სათვისტომოს ინიციატივით მოსულიყვნენ მიტინგზე.** ესენი იყვნენ — ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ავთანდილ ქორიძე და სათვისტომოს წევრები ლევან ფესვიანიძე, გივი მელია, გივი ფხოველიშვილი, გია მერკვილიშვილი, ვალერი ხუხუნაშვილი, ნუგზარ შენგელია, თემურ ზაქრაძე, გია კაკაბაძე, პაატა საყვარელიძე, გოგი ბასიაშვილი, დათო ნიკოლეიშვილი და სხვები.

მათთან საუბრიდან გაირკვა, რომ იზიარებენ გამოსული დეპუტატების მოსაზრებებს. გამოითქვა რწმენა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გადამწყვეტი იქნება დასმული საკითხების გადაჭრაში და მისი გადაწყვეტილებების მიხედვით პარტია ან შეინარჩუნებს მოქალაქეების ნდობას, ან საბოლოოდ დაკარგავს მას.

თანამემამულეებთან საუბარში გაირკვა, რომ მოსკოვის ქართული სათვისტომო მალე იურიდიული პირის უფლებას მიიღებს და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი ძალით გაშლის თავის საქმიანობას. მოსკოვში ქართული საბავშვო ბაღის გამგემ ანა კერესელიძემ კი მთხოვა, მადლობა გადამეცა საქართველოს იმ რაიონების მცხოვრებლებთათვის, ვინც საახალწლო საჩუქრები გაუგზავნა მათ აღსაზრდელებს. ეს საჩუქრები დროებით არბატზე საქართველოს კულტურის ცენტრშია გამოფენილი. ქალბატონმა ანამ ისიც გვთხოვა გადმოგვეცა, რომ ფულადი სახსრები დღეს საქართველოს უფრო სჭირდება, თვალსაჩინო საშუალებები და მხატვრული ლიტერატურა კი დიდად შეუწყობდა ხელს მუშაობაში.

გვიან ღამემდე გაგრძელდა მიტინგი, სადაც, როგორც ყოველთვის, მჟღავნდება და ფორმირდება მასების განწყობილება. ეს განწყობილება კი იმ დღეს უაღრესად სერიოზული, დაუფარავი და საგანგაშო იყო.

უდაოდ ბევრია დამოკიდებული დღეს გარდაქმნის ნაბიჯებსა და მათ რეალურ შედეგებზე...

თებერვალი ხომ ზამთრის ბოლო შანსია!

**თამაზ ბიბილური,**
**რეჟისორი, საქართველოს ფოტოჟურნალისტთა და კინოდოკუმენტალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი.**

**ავტორის** ფოტოები.





## ᲡᲐᲛᲔᲯᲚᲘᲡᲝ ᲪᲔᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

იანვრის მიწურულს კიროვის სახელობის პარკის მცირე სპორტის სასახლეში, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრიზზე გაიმართა სამეჯლისო ცეკვების კონკურსი „თბილისი-90“. კონკურსში რესპუბლიკის წამყვან მოცეკვავეთა გარდა, მონაწილეობდნენ რიგიდან, ტარტუდან, კლაიპედადან, ლენინგრადიდან და კიშინიოვიდან მოწვეული საუკეთესო შემსრულებლები.

მსგავსი ღონისძიება თბილისში უკვე ტრადიციად იქცა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ბევრი როდია დაინტერესებული ქორეოგრაფიის ამ მომხიბვლელი ჟანრით. ამის შედეგია ისიც, რომ არა გვყავს პროფესიონალი მოცეკვავეები. ეს კონკურსის საბოლოო შედეგებმაც გვიჩვენა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი შემსრულებლები კონკურსზე გამარჯვების დიდი სურვილით გამოვიდნენ, რასაც უშედეგოდ არ ჩაუვლია. ინდივიდუალურ გამოსვლებში შორენა გაჩეჩილაძემ და გოჩა ჩერტკოევმა მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. (მწვრთნელები — ლ. ქურდაძე, თ. გაჩეჩილაძე).

მაყურებელთა დიდი მოწონება, როგორც მოსალოდნელი იყო, დაიმსახურა ლიტვის სპორტული ცეკვების ანსამბლმა „ჟუუვედრამ“. ეს ანსამბლი 1988 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ოქროს მედლის მფლობელია. ასევე მაყურებლის ტაში დაიმსახურეს ანსამბლ „ძინტარსის“ წევრებმა. ყოველი მათი გამოსვლა მაყურებელთა სიხარულს იწვევდა.

კონკურსის დამთავრებისას ადგილები შემდეგნაირად განაწილდა. პირველი — „ძინტარსი“, „ლატვია, რიგა. მეორე — „ჟუუვედრა“, ლიტვა, კლაიპედა. მესამე — „სტილი“, ესტონეთი, ტარტუ. მეოთხე — „კოდრიანკა“, მოლდავეთი, კიშინიოვი. მეხუთე — „სოპჩაკი“, ლენინგრადი. მეექვსე — „თელა“, თბილისი.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრიზი ანსამბლ „ძინტარსს“ გადასცა ჭადრაკში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ნონა გაფრინდაშვილმა.

ღონისძიებას სპონსორობა გაუწია თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატმა „საბჭოთა საქართველომ“, რისთვისაც კომბინატის ხელმძღვანელობა და მთელი კოლექტივი მადლობასა და პატივისცემას იმსახურებენ. სასურველია ეს მაგალითი სხვა კოლექტივებმაც გადაიღონ, რადგანაც კეთილშობილური დახმარების გაწევა ხელს უწყობს ქართული ქორეოგრაფიის აღორძინებასა და განვითარებას.

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲣᲑᲘᲠᲘᲐ**

**ᲯᲔᲛᲐᲚ ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲘᲡ ფოტო.**

## ᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ?

საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტი გატყობინებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეწყობის საბჭოთა ასოციაციამ გამოაცხადა საკავშირო კონკურსი გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენების პროექტის შექმნაზე თემაზე „გაერო და გლობალური გარემო“.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ საშუალო სკოლების და სპეციალური სასწავლებლების უფროსკლასელებს, უმაღლესი სასწავლებლების დაწყებითი კურსების სტუდენტებს 16-დან 20 წლის ასაკამდე, რომლებიც ფლობენ ინგლისურს, ერკვევიან ეკოლოგიურ საკითხებში, დაინტერესებული არიან გაერო-ს საქმიანობით და გარემოს დაცვის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობით.

მოხსენებაში უნდა გაშუქდეს შემდეგი საკითხები — გარემოს ახლანდელი მდგომარეობა მსოფლიოში; პრობლემები, რომლებიც განსაკუთრებულ განგაშს იწვევენ.

— როგორ შეუძლიათ განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს თანამშრომლობა გარემოს მდგომარეობის გაუარესების შეჩერების საქმეში.

— როგორ უნდა დამყარდეს ბალანსი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პრობლემების და ეკონომიკურ მოთხოვნილებებს შორის.

— რა როლის თამაში შეუძლია ყველაზე მწვავე ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობასთან ერთად გაერო-ს განვითარების პროგრამას; გაერო-ს სხვა დაწესებულებებს და მათ ორგანოებს.

კონკურსის მონაწილეებმა უნდა აწონ-დაწონილად შეაფასონ გლობალური გარემოს მდგომარეობა და გაერო-ს საქმიანობა ამ სფეროში, განსაზღვრონ გაერო-ს ამოცანები და პრიორიტეტები ამ დარგში, აგრეთვე წამოაყენონ კონკრეტული წინადადებები გაეროს მოღვაწეობის სრულყოფისათვის ამ დარგში. კონკურსში გამარჯვებულები გაიგზავნებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში 1990 წლის მაისში გაერო-ს ხელშეწყობის აშშ-ის ასოციაციის მიერ გამოცხადებულ ანალოგიური კონკურსის შედეგების შეჯამების ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად.

მოხსენება შემდეგნაირად უნდა გაფორმდეს:

1) მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორი ინტერვალით დაბეჭდილ 7 ნაბეჭდ გვერდს.

2) ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს მოხსენების ბოლოს ანბანის მიხედვით და უნდა გაფორმდეს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის მიხედვით. ამ შემთხვევაში ტექსტში მითითებული უნდა იყოს წყაროს ნომერი და გვერდი. მაგალითად (6. გვ. 28).

მოხსენებები უნდა წარდგენილი იქნეს საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურ კომიტეტში ამა წლის 25 თებერვლამდე.

მისამართი: 380005 თბილისი ლესელიძის ქუჩა № 41.

კონსულტაციები შეგიძლიათ მიიღოთ სმდრკ-ში 7 და 8 თებერვალს 4-დან 6 საათამდე. ტელეფონი: 99-68-60.

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,**
**მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე**

## ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲨᲔᲜᲐᲢᲕᲘᲗ...


ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ჩვენთვის დადგა ცხენის წელი — გური ჩიგოგიძისათვის კი... აღარც ახსოვს როდიდან, სულ ცხენის წელია...

როცა მიხასიათებდნენ მითხრეს: (თვითონ გინეკოლოგია) — რომ დაუძახონ ქალი მშობიარობსო, არ წავა თუ მშობიარე ცხენს ჰირდება...

ეს რომ ვუთხარი — უხერხულად გაეცინა (თან რომ ქათინაურად ჩათვლის ადამიანი ხუმრობას ისე).

როცა ვნახე, საავადმყოფოში იწვა. ისე გატაცებით დაიწყო ცხენებზე საუბარი, ისე აენთო — მას კი არა, მეც დამავიწყდა სად ვიყავი.

არადა, ყველაფერი კედლიდან დაიწყო...

ანუ:

მაგიდასთან გაკრულმა ცხენების სურათმა აფიქრებინა ჩემს ხელძღვანელებს, რომ მე ცხენები მიყვარს და თუ მე ცხენები ასე ძალიან მიყვარს, სირცხვილია არ ვიცნობდე პირველი კლინიკური საავადმყოფოს ექიმ-გინეკოლოგს, ცხენების ფანატიკოსს, უნაგირების უნიკალური კოლექციის პატრონს გური ჩიგოგიძეს...

8 თებერვალს კი ცხენის წელიწადი ყველანაირი — აღმოსავლური თუ დასავლური, ჩინური თუ იაპონური კალენდრით დაეპატრონა ცასა და დედამიწას, ზღვასა და ხმელეთს...

მე კი ვიფიქრე, რომ იმაზე, თუ როგორი წელი დაგვიდგება ყველა ასტრონომზე, ცხენების შემსწავლელ ყველაზე რთული მეცნიერების ყველაზე დამსახურებულ მეცნიერზე უკეთ სწორედ ცხენებზე ასე შეყვარებული კაცი მესაუბრებოდა:

— ჩემი საყვარელი სტილი — სტიპლჩეზია. ირლანდიური წარმოშობის სიტყვაა და დაახლოებით ამას ნიშნავს: სამრეკლოდან სამრეკლომდე... — ეს დაბრკოლებათა გადალახვაა. სტიპლჩეზში რისკია მეტი... საფრთხეა მეტი, უფრო ძლიერი შიშის დაძლევის საშუალება ეძლევა ცხენს (და მხედარსაც). აქ ცხენი უფრო ჩანს ისეთი, როგორიც არის: შეუპოვარი, უშიშარი, მებრძოლი, ძლიერი...

(დავიმახსოვროთ ეს ეპითეტები — 1990 წელს ეკუთვნის და იმიტომ).

— ცხენოსნობა რთული სპორტია — ტრავმებთანაა დაკავშირებული. მე თვითონ, ჩემი თვალით 6-7 სიკვდილი მინახავს ცხენის ქვეშ... საქართველოში კი ცხენოსნობის განვითარებას ყველაფერი, ყველაფერი უშლის ხელს...

— მაინც რა შედის „ყველაფერში“ — ბუნებრივი პირობებიც?

— სწორედ ეგ არის ერთადერთი, რაც ხელს უწყობს. ანაზღაურება საოცრად დაბალია და ყველაფერი აქედან იწყება: ძნელია მარტო ენთუზიაზმით, თუნდაც უსაზღვრო სიყვარულით იცხოვრო... ოჯახი თავისას მოითხოვს. თქვენ გგონიათ ისინი, ვინც ცუდი საარსებო პირობების გამო ტოვებს ცხენებს — არ განიცდიან?! მაგრამ ყველა ხომ ვერ გაძლებს...

(ყველას მართლაც ვერ მოთხოვ გაძლებას, მაგრამ თვითონ გური ჩიგოგიძეს არასოდეს, არასოდეს უღალატია ცხენისთვის).

— ცხენი თუ გაგიხედნიათ?

— როგორ არა... და ისეთიც უნაგირი რომ არ უნდა, თავისუფლებას რომ ვერ ელევა, ანდა თუ შეელევა ხელშეუხებლობის ერთ-ორ ხელმყოფს ასახიჩრებს...

(რა საშინელებაა ნაძალადევი ყველაფერი...)

— სამწუხაროდ, დღეს მე ცხენი არა მყავს... ყველაზე კარგად კი მაინც ჩემი პირველი ცხენი „ისცელიტელი“ მახსენდება. ამ ცხენმა 60-იან წლებში მთელი პლეადა ალგვზარდა. მერე და მერე გაცნობილი ცხენების სიყვარულიც „ისცელიტელის“ დამსახურებაა... ცხენებს იქაური სახელები ერქმევათ, სადაც დაიბადებიან... საქართველოში თუშური და მეგრული ჯიშის ცხენებია... მაგრამ მათი საქმე ძალიან ცუდად არის — ცხენი დღეს აღარც მანქანაა, აღარც სახნავ-სათესი საშუალება, აღარც ტვირთმზიდავია — ამიტომაც არ აქცევენ ყურადღებას... ხომ გაგიგიათ თბილისის იპოდრომიდან ხშირად დადიან ჯგუფები ბეთანიაში — სწორედ თუშური ცხენებით — მთისა და სასიარულო პირობებისთვის გაჩენილი ცხენებით... უნდა შევინარჩუნოთ ეს ჯიშები ტურიზმისათვის, ეკოლოგიისათვის, კოლორიტისათვის, ბავშვებისათვის.,.

(სულ მაინტერესებდა როგორ კვდებიან ცხენები... ვერ ვკითხე, იმიტომ, რომ საერთოდ აარიდა თავი დაღუპულ ცხენებზე საუბარს. თანაც, ალბათ, სჯობს მათ სიკვდილზე 90 წლის ბოლოს ვისაუბროთ... როგორ კვდებიან და ალბათ, როგორადაც ლამაზად ცხოვრობენ).

— ცხენის ყველა ჯიშს თავისი დანიშნულება აქვს და ადგილი. ყველაზე გამძლე და ძლიერი ინგლისური წმინდა სისხლის ცხენები არიან და საერთოდაც ყველა კულტივირებული ჯიში (240) ინგლისური და არაბული ჯიშის ცხენებიდან იწყებს წარმოშობას...

— ინგლისური წმინდა ჯიშის ცხენი რომ თუშეთში ან სამეგრელოში გავზარდოთ, თუ გაწევს მათ მაგივრობას?

— თქვენ წარმოიდგინეთ, გაწევს, მაგრამ ბოლომდე, ალბათ, ვერა. ხომ გითხარით, ყოველ ცხენს თავისი დანიშნულება და ადგილი აქვს.

(ვიფიქრე: როგორც ადამიანს. ალბათ ამიტომაც გური ჩიგოგიძე თავისი ძირითადი სამსახურის გარდა იპოდრომზე მუშაობს ექიმად — ადამიანების ექიმად. დასაწყისში კი გითხარით რომ თუ ცხენს ჰირდება — გვერდიდან არ შორდება-მეთქი...).

ბევრჯერ მოვიდა ახალი წელი. 31 დეკემბერს, 13 იანვარს, 27 იანვარს (აღმოსავლურად), ახლა — 8 თებერვალსაც... ალბათ. იმიტომ ვახსენეთ ყოველი მისი მოსვლა, რომ ბევრჯერ და ძლიერად მოვიდეს 1990 — თეთრი ცხენის...

გური ჩიგოგიძე, კი რომელიც დარწმუნებულია, რომ ცხენის წელი შემონათების და თავისუფლების წელია, წელსაც, ისევე როგორც ყოველ ახალ წელს თეთრი ჩოხით, თეთრ ცხენზე ამხედრებული შეხვდა...

**ᲛᲐᲘᲐ ᲭᲐᲚᲐᲑᲐᲜᲘᲫᲔ**

### ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

## ᲛᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲦᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ...

**განვიხილავთ „რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის“ პროექტს**

1989 წლის 30 დეკემბერს „ლელოში“ გამოქვეყნებული კონცეფციის პროექტის ირგვლივ მაქვს შემდეგი მოსაზრება.

14 კარისა და 162 მუხლისაგან შემდგარ პროექტში მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. ეს დაწესებულება პასუხისმგებელია (,სხვა ინსტიტუტებთან ერთად) მხოლოდ IX კარის მე-15 მუხლის შესრულებაზე — „დაიხვეწოს ფიზიკური კულტურის პროგრამა ჯანმრთელობის ჯგუფებში მომეცადინეებისათვის სქესისა და ასაკის გათვალისწინებით“.

მიმაჩნა, რომ ფსიქოლოგიას, ქართველ ფსიქოლოგებს გაცილებით მეტის გაღება შეუძლიათ ქართული სპორტის წინსვლის, ჩვენი ერის გაჯანსაღების საქმეში.

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა ქართველი სპორტსმენი ტექნიკურადაც, ფიზიკურადაც მეტოქეზე მაღლა მდგარა და მაინც დამარცხებულა — ვერ გამოუვლენია საჭირო ბრძოლის უნარიანობა, შემართება, ხასიათის სიმტკიცე...

ანდა, განა ფსიქოლოგის კვლევის ობიექტი არ უნდა გახდეს ჩვენი გულგრილობა ჯანსაღი ცხოვრების წესისადმი; საოცარი შემწყნარებლობა საკუთარი მოჩვარებული, გაზულუქებული სხეულისადმი; თეიმურაზ ხევისთავის „ტორსის“ პატრონები რა გულდაჯერებულად ვამბობთ ხოლმე კულტურისტებზე — „მახინჯები“ არიანო...

ზემოთმოტანილი დებულებების დასასაბუთებლად, მერწმუნეთ, არგუმენტებისათვის ჯიბეში ხელის ჩაყოფა არ დამჭირდება. საკუთარ თავს კი უფლებას ვერ მივცემ „ღია კარების“ მტვრეველის როლი ვითამაშო.

კონკრეტულად, ჩემი წინადადება ასეთია: პროექტის IX კარს დაემატოს მე-17 მუხლი, შემდეგი ფორმულირებით — „დაფუძნდეს საქართველოს სპორტულ ფსიქოლოგთა ასოციაცია, რომლის მიზანი იქნება რეკომენდაციების შემუშავება, როგორც მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებისათვის, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. მოსინჯულ იქნეს ნიადაგი „ევროპის სპორტულ ფსიქოლოგთა ასოციაციის“ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე“. (ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, ფიზიკური კულტურის სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტები; 1990-1991 წ. წ.)

**ᲑᲔᲚᲐ ᲑᲐᲠᲐᲧᲐᲜᲘᲫᲔ**

## ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

საქართველოს ეკოლოგიური საზოგადოება „მინდიას“ ინიციატივით და ამ პრობლემებზე მომუშავე ასოციაციების, ორგანიზაციების და ცალკეული დაინტერესებული პირების მონაწილეობით ეწყობა საქართველოს ეროვნულ-ეკოლოგიური პარლამენტის წესდების პროექტის განხილვა და დამფუძნებელი კრების საორგანიზაციო კომიტეტის არჩევნები, კრება ჩატარდება 1990 წ. 13 თებერვალს. საქართველოს პროფსაბჭოს სახლში, დასაწყისი 16 საათზე.

**ᲡᲐᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ**

**ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲗ**, რომ უზბეკეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „იოშ გვარდია“ გამოსაცემად ამზადებს 1990-91 წელს მოგონებათა წიგნს იმ მეომრებზე, რომლებიც დაიღუპნენ ავღანეთში ინტერნაციონალური ვალის შესრულების დროს. წიგნში შევა მოგონებები, სურათები, წერილები. არსებული მასალები შეგიძლიათ გაგზავნოთ მისამართით 700000 ქ. ტაშკენტი ГСП. Аллея народов — 5. ЦК ЛКСМ Узбекистана («В книгу память»).

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ**

**რედაქტორის მოადგილე**
**ᲒᲘᲒᲚᲐ ᲒᲝᲑᲔᲯᲘᲐ**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსი, სოფთალის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13
უე 00146